



ზამთრის ახადებები

2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის მიხედვით, ზამთრის ახადებები 30 დეკემბრიდან 14 იანვრის ჩათვლით გახდებოდა. თუმცა, წელს მოსწავლეებს ახადებების პეიზი უხანგძლივდება.

უწყებთმომხილი საჯომინდინაციო საბჭოს გადამწყვეტილებით, კომინაციის გახიციების პივენიის მიხედვით გამოცხადებული შეზღუდვების მიხედვით, 3 იანვრიდან 15 იანვრის ჩათვლით, ქვეყანაში უქმე დღეები გამოცხადდა. 15 იანვრის სასწავლო პიოცი ახ მოსწავლეებისთვის და ახ მოსწავლეებისთვის ახ განახიდება. 16 და 17 იანვარი შაბათ-კვირის ემთხვევა, ამიომ სწავლა 18 იანვრის, მიშაბათს, განახიდება.

სკოლები 19 იანვრის, ნათრისლების დღესასწაულზე, დინხევენ. საერთო ჯამში, ზამთრის ახადებები 18 დღე, 30 დეკემბრიდან 17 იანვრის ჩათვლით, გახიციდება.

2

ლალი ჯილაძე

კრატტიკოსი მასწავლებლების ბარდა, სვლილება უფროს მასწავლებლებსაც შეეხო

4

მარიამ ბოლუაძე

მე სკეციალური მასწავლებელი ვიქნები

მეორე დია წერილი ბატონ მინისტრს


მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საბუნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა (TIMSS) საქართველოს შედეგები 2019

8 დეკემბერს შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოაქვეყნა საქართველოს შედეგები მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევის (TIMSS) ფარგლებში. კვლევა აფასებს მოსწავლეთა მიღწევებს სწავლების ერთსა და იმავე საფეხურზე, წინა ციკლებთან შედარებით, აგრეთვე, იცვლება თუ არა წლების განმავლობაში, ქვეყანაში, მოსწავლეთა მიღწევები სასწავლო პროცესის სხვადასხვა საფეხურზე (დაწყებითი და საბაზო).

TIMSS 2019-ში 64 ქვეყანა მონაწილეობდა, მეოთხე კლასის შეფასებაში – 58 ქვეყანა და 6 რეგიონი, ხოლო მეხუთე კლასის შეფასებაში – 39 ქვეყანა და 7 რეგიონი.

2019 წლიდან TIMSS ელექტრონულ შეფასებაზე (eTIMSS) გადავიდა. საქართველომ, ელექტრონულ შეფასებაზე გადასასვლელად, ე.წ. გარდამავალი (Bridge) კვლევა ჩაატარა. კვლევის საველე სამუშაოები 2019 წლის 24 აპრილიდან 29 მაისის პერიოდში მიმდინარეობდა. TIMSS 2019 წლის ციკლში, საქართველოს მასშტაბით, 226 სკოლა მონაწილეობდა, თბილისსა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან, სულ 154 მეოთხე კლასი (6 002 მოსწავლე) და 145 მეხუთე კლასი (5 698 მოსწავლე) მონაწილეობდა.

სპეციალურად განკუთვნილი კითხვარები შეავსეს ასევე სკოლების დირექტორებმა, მასწავლებლებმა და მეოთხე კლასის მოსწავლეების მშობლებმა/მეურვეებმა.



2019 წელს საქართველოს მაჩვენებელია:

- მათემატიკაში (მე-4 კლასი) – 482 ქულა;
- მათემატიკაში (მე-8 კლასი) – 461;
- ბუნებისმეტყველებაში (მე-4 კლასი) – 454;
- საბუნებისმეტყველო საგნებში (მე-8 კლასი) – 447.

საერთაშორისო საშუალო ქულა – 500

კვლევის შედეგებიდან დადგინდა, რომ 2019 წლის ციკლში საქართველოს მეოთხეკლასელებმა, სტატისტიკურად, მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს მიღწევები მათემატიკაში. ასევე, საქართველო იმ ხუთ ქვეყანას შორის დასახელდა, რომლებმაც, 2015 წელთან შედარებით, მიღწევები ყველაზე მეტად გაზარდეს.

საქართველოს პირველადი ანგარიშისა და პრეზენტაციის სრულად ნახვა შესაძლებელია ბმულზე: <https://naec.ge/#/ge/post/2283>

პრაქტიკოსი მასწავლებლების გარდა, ცვლილება უფროს მასწავლებლებსაც შეეხო

რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ნოემბერში დაგეგმილი მასწავლებელთა სასარტიფიკაციო გამოცდები გადაიდო, ასევე გადაიდო გამოცდები სპეციალური მასწავლებლებისთვის, რომლებიც წლებია ელოდებიან კვალიფიკაციის ამაღლებას. სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გამოცდები 2021-2022 სასწავლო წლის დაწყებამდე გაიმართება. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში, სამინისტროს ინიციატივით, ცვლილებები განხორციელდა. პრაქტიკოსი მასწავლებლების გარდა, ცვლილება უფროს მასწავლებლებსაც შეეხო. კონკრეტულად რა ცვლილებები დაიგეგმა, ამის შესახებ განმარტება ვთხოვეთ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მასწავლებლის პროფესიის რეგულირების პროგრამის ხელმძღვანელს, ხათუნა ბარბაქაძეს.



– პირველად განმარტოთ ცვლილებები, რომელიც უფროს მასწავლებლებს შეეხო...

– როგორც ცნობილია, უფროსი მასწავლებლებისთვის განკუთვნილი გარე დაკვირვება, რომელიც გასულ სასწავლო წელს, გაზაფხულზე, უნდა ჩატარებულიყო, კოვიდ პანდემიის გამო გადაიდო და რეალურად, ეს მასწავლებლები აღმოჩნდნენ დაზარალებულები, რადგან მათ, 2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, შესაბამისი კრედიტული მოგროვილი ჰქონდათ და გარე დაკვირვების გავლა ეკუთვნოდათ. ეს ყველაფერი კალენდრითაა განსაზღვრული იყო, მაგრამ, როგორც უკვე ვთხარით, პანდემიის გამო, სკოლებში სასწავლო პროცესი შეფერხდა და მთლიანად დისტანციურ ფორმატზე გადავიდა. ამის შემდეგ მოხდა დისტანციური სწავლების აღიარება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებაც განხორციელდა. აქედან გამომდინარე, ჩვენ გარე დაკვირვების დისტანციური რუბრიკა მოვამზადეთ. ბუნებრივია, ამ ყველაფერს გარკვეული დრო დასჭირდა. ცვლილება განხორციელდა გარე დაკვირვების წესშიც და უფროს მასწავლებლებს, სექტემბრიდან, რუბრიკის გავლის შესაძლებლობა მიეცათ – პირისპირ ან დისტანციურად. ჩვენ ორივე ტიპის გარე დაკვირვების განსახორციელებლად ვიყავით მზად, თუმცა, კოვიდ სიტუაციის გამო, პროცესი ახლა ისევე შეფერხდა. შეიზღუდა გადაადგილება, იმ მასწავლებლებს კი, რომლებსაც პირისპირ სურთ გარე დაკვირვების გავლა, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ვერ დაეკვირვებოდნენ. 3080 დარეგისტრირებული მასწავლებლიდან, უმეტესობამ გარე დაკვირვება უკვე გაიარა – ნაწილმა პირისპირ, ნაწილმა დისტანციურად; 500-მდე მასწავლებელია დარჩენილი, ვინც, ასე ვთქვათ, არ ისურვა დისტანციურ რეჟიმში დაკვირვება. მართალია, რაიონებში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია პირისპირ სწავლება, მაგრამ სრულად შეიზღუდა მუნიციპალური ტრანსპორტი და დამკვირვებლებს რეალურად გაუჭირდებათ სკოლაში მისვლა. ამიტომ, საჭიროებიდან გამომდინარე, განათლების სამინისტრომ სასწრაფო წესით განახორციელა ცვლილება, რომლის თანახმადაც, მასწავლებლებს უფლება მიეცემათ, იმ შემთხვევაში, თუ პირისპირ დაკვირვებას აირჩევენ, დაელოდონ სკოლებში სწავლის განახლებას, ანუ მათ გარე დაკვირვების დრო მეორე სემესტრის განმავლობაში გაუზანგრძლივდათ. თუ დისტანციურად გადაწყვიტენ გარე დაკვირვების განხორციელებას, რასაკვირველია, დისტანციურად დაეკვირვებოდნენ. ასე რომ, პირისპირ დაკვირვება დამოკიდებული იქნება რეგულაციებზე, რომელსაც სახელმწიფო გამოაცხადებს. იმ შემთხვევაში, თუ მეორე სემესტრის ბოლომდე სკოლები

არ გაიხსნება, მაშინ მათ გარე დაკვირვების დისტანციურად გავლა უნდა შეძლონ, სხვა გამოსავალი არ ექნებათ.

ხაზგასმით მინდა ვითხარათ, რომ ეს ეხება მხოლოდ იმ უფროს მასწავლებლებს, ვინც დარეგისტრირებული იყვნენ გარე დაკვირვების რუბრიკაზე. დანარჩენი უფროსი მასწავლებლები ერთმნიშვნელოვნად არ განიხილებიან, მათთვის წამყვან მასწავლებლობაზე სქემაში ახალი გზა არის განვითარებული და აქაც საკმაოდ საინტერესო ცვლილება შევიდა, ვფიქრობ, ეს ცვლილებაც დაინტერესებს მასწავლებლებს. სქემის ბოლო რედაქციაში, რომელიც 26 ივნისს დამტკიცდა, ასეთი ჩანაწერი იყო: უფროს მასწავლებელს, წამყვანობისა და მენტორობისთვის, ცალ-ცალკე, ანუ ორჯერ უნევდათ გამოცდის ჩაბარება. ცვლილების თანახმად კი, ახლა, თუ უფროსი მასწავლებელი, წამყვანობისთვის აბარებს გამოცდას და მენტორობისთვის დანესებულ ზღვარს გადალახავს, მას მენტორობისთვის განკუთვნილი გამოცდის ჩაბარება აღარ მოუწევს. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფალია გამოცდის კომპონენტისგან და მენტორის სტატუსისთვის განკუთვნილ სხვა დანარჩენ აქტივობებს განახორციელებს.

კიდევ ერთი ცვლილება აკადემიური ხარისხის მოპოვებას ეხება – ადრე არსებული წესით, მასწავლებელს, რომელიც აკადემიურ ხარისხს მოიპოვებდა, პირდაპირ ენიჭებოდა წამყვანის სტატუსი, მაგრამ ეს ჩანაწერი ახალ სქემაში აღარ არის და აღმოჩნდა, რომ იმ ადამიანებს, რომლებმაც, ამ ხნის განმავლობაში, დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად იმუშავეს და მხოლოდ დაცვა დარჩათ, ამდენი შრომა წყალში უნდა ჩაყროდათ. გავითვალისწინეთ მათი თხოვნა და მივეცით უფლება, დაცვის შემდეგ მოგვმართონ სტატუსის მისანიჭებლად. აქვე გეტყვით, რომ ასეთი ადამიანების რიცხვი ძალიან მცირეა – 2-3 ადამიანია.

– გარდა იმისა, რომ პრაქტიკოსი მასწავლებლების შემოდგომაზე დაგეგმილი გამოცდის თარიღმა კიდევ გადაინია, რა ცვლილებები შეეხო ამ, რეალურად უკვე გაუქმებული, სტატუსის მქონე მასწავლებლებს?

– პრაქტიკოს მასწავლებლებზე გეტყვით, რომ ივნისში მიღებული სქემის რედაქციით, პრაქტიკოსის სტატუსი გაუქმდა, მაგრამ, ამავე სქემით, იმ პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებსაც, 2020 წლის 31 იანვრის მდგომარეობით, 14 კრედიტულია ჰქონდათ დაგროვებული, მივეცით უფლება, ჩვენ მიერ შეთავაზებული 5-კრედიტიანი ტრენინგების გავლით, შეეცნოთ უფროსისთვის საჭირო კრედიტების რაოდენობა. დაახლოებით, 648-მა პრაქტიკოსმა შეძლო სტატუსის ამაღლება და, სექტემბრიდან, ისინი უფროსი მასწავლებლები გახდნენ.

ამის გარდა, მასწავლებელთა პროფკავშირების ხელმძღვანელების, მათა კობახიძის ინიციატივით, კიდევ ერთხელ მივეცით სტატუსის ცვლილების შესაძლებლობა იმ პრაქტიკოსებს, რომლებსაც მოგროვებული ჰქონდათ 15 კრედიტულია, ნაწილობრივ ჩაბარებული ჰქონდათ, ორის ნაცვლად, ერთი გამოცდა, თან არ იყვნენ დარეგისტრირებული გაზაფხულზე დაგეგმილ გამოცდებზე. ასეთი 70 პრაქტიკოსი მასწავლებელი აღმოჩნდა და მათ, გამოწვევის სახით, გამოცდაზე გასვლის უფლება აქვთ. რაც მთავარია, თუ ეს მასწავლებლები გამოცდაზე 4 კრედიტს მიიღებენ და 19 კრედიტს შეაგროვენ, კონკურსში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ, გამოცხადებული ვაკანსიის დასაკავებლად, ანუ ისინი ამით სამსახურში ვერ დარჩებიან, მაგრამ გამოცხადებულ კონკურსებში, როგორც უფროსი მასწავლებლები, შეძლებენ მონაწილეობას, შესაბამისად, სისტემაში ჩაერთვებიან, როგორც უფროსი სტატუსის პედაგოგები. კიდევ ერთხელ განვმარტავ, რომ მათ, გამოწვევის სახით, მივეცით უფლება – მსურველებსა და მაძიებლებისგან განსხვავებით, გამოცდაზე 4 კრედიტი მიიღონ, ნაცვლად 10 კრედიტისა და ასე შეავსონ უფროსი

მასწავლებლისთვის საჭირო კრედიტების ოდენობა.

ის პრაქტიკოსი მასწავლებლები კი, რომლებიც დარეგისტრირებული იყვნენ გამოცდებზე – ასეთი 4700 პედაგოგია – რა თქმა უნდა, ზაფხულში, შეძლებენ გამოცდის ჩაბარებას, მანამდე კი, სკოლები ჩვეულებრივ გააგრძელებენ მუშაობას. ორშაბათიდან, როგორც დაგეგმილი გვქონდა, მათ შეეთავაზებოდა 5-კრედიტიანი ტრენინგ-კურსები, რომელიც მეორე სემესტრშიც გაგრძელდება. ეს მასწავლებლები, საჭიროების მიხედვით, გამოიყენებენ ამ შეთავაზებას და 19 კრედიტულის დაგროვების შემთხვევაში – გამოცდა + 5-კრედიტიანი ტრენინგი – ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, შეძლებენ სტატუსის ცვლილებას.

– იმ 70 პრაქტიკოსისთვის რეგისტრაცია ცალკე გამოცხადდება?

– გაზაფხულზე აუცილებლად გამოცხადდება რეგისტრაცია ყველასთვის – მასწავლებლების მსურველებისთვის, მაძიებლებისთვის და, მათ შორის, იმ პრაქტიკოსებისთვის, ვისთვისაც შეღავათები დავანესეთ. თუმცა, როგორც ვითხარით, განსხვავება მათ შორის ის არის, რომ 70 მასწავლებელს დაგროვებული აქვს 15 კრედიტი და ერთი გამოცდა აქვს ჩაბარებული, უფლება აქვთ, გამოცდაზე, 10 კრედიტის ნაცვლად, 4 კრედიტი მიიღონ და უფროსი მასწავლებლისთვის საჭირო კრედიტული შეავსონ.

– რაც შეეხება დანარჩენ უფროს მასწავლებლებს ან წამყვანებს, მათი კარიერული წინსვლა რეალურად შეფერხებულია, დაპაუზებული. როდის განახლდება მათი კარიერული წინსვლა?

– შეფერხებული არ არის, რადგან ზაფხულში მათთვისაც იგეგმება გამოცდა, თუმცა, გამოცდამდე მათ ძალიან ბევრი საქმე აქვთ გასაკეთებელი – კვლევები უნდა განახორციელონ და ა.შ. ხოლო მათ, ვისაც უკვე ჩატარებული აქვთ კვლევა, რასაკვირველია, შეუნარჩუნდებათ და მათ საქალაქო დონეზე ჩაიდება. ამიტომ, რა აქტივობების განხორციელებაც ევალებათ მასწავლებლებს, ამა თუ იმ სტატუსის მოსაპოვებლად, ცხადია, ამის დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ. მაგალითად, მათ საქალაქო დონეზე წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესაბამისი აქტივობების დოკუმენტები უნდა იყოს წარმოდგენილი. ჩვენ მაქსიმალურად ვეცადეთ, არ განსაზღვრულიყო კონკრეტული აქტივობები, რადგან მასწავლებელი არ მოგვეცნია ჩარჩოებში. ვაძლევთ თავისუფლებას, რომელი აქტივობის განხორციელებაც უფრო სწორად მიანიჭათ, მასწავლებლის პროფესიული განვითარების კუთხით, ის განახორციელონ და არა მინცდამინც „კრიტიკული მეგობარი“ ან სხვ. რა თქმა უნდა, შემდეგ მისი დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ. რეალურად, ეს ყველაფერი მასწავლებლის სტანდარტებს მისდევს, მეტიც, პირდაპირ თავსებადია სტანდარტთან.

– ბოლოს სპეციალურ მასწავლებლებზე მინდა ვკითხოთ, თავისთავად, სხვა მასწავლებლებთან ერთად, მათი გამოცდა გადაიდო და რეალურად, ამ სასწავლო წელს, სტატუსიანი სპეცმასწავლებელი ისევე არ გვეყოლება?

– სპეცმასწავლებლები, ბუნებრივია, მოყვნენ ამ პროცესში. იანვრიდან 12 მასწავლებელს მივანიჭებთ უფროსი მასწავლებლის სტატუსს, ეს ის მასწავლებლები არიან, რომლებსაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების განათლების მაგისტრის ხარისხი აქვთ. ამიტომ, მათ პირდაპირ მივანიჭებთ უფროსი მასწავლებლის სტატუსს. სისტემაში, დაახლოებით, 1800 სპეცმასწავლებელია, მათი კარიერული წინსვლისთვის განკუთვნილი გამოცდებიც ზაფხულში ჩატარდება.



ხათუნა ბარბაქაძე

გაკვეთილის გეგმა



თუკაზბან მამედოვა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გეთის საჯარო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ТУКАЗБАН МАМЕДОВА

Учительница русского языка и литературы Гетской средней школы Болнисского района

ПРЕДМЕТ: Русский язык

СТУПЕНЬ ОБУЧЕНИЯ: Первая ступень – 6 класс

ЧИСЛО УЧЕНИКОВ: 10

ТЕМА: Животные

ЦЕЛЬ УРОКА:

- 1) Ознакомить учащихся с разновидностями животных.
- 2) Ознакомить учащихся с образами жизни и характерами животных.
- 3) Научить новые слова и конструкции, связанные с животными.
- 4) Уметь правильно составлять предложения с конструкциями «Что ест?» и «Чем питается?»
- 5) Развивать логическое мышление, письменную и устную речь учащихся.
- 6) Воспитывать чувство любви к животным.

АКТИВНОСТИ:

- Ответы на вопросы
- Мини-лекция
- Беседа
- Игра: «Найди, кто это?»

УЧЕБНЫЕ МЕТОДЫ: «Мозговой штурм», беседа

РЕСУРСЫ: книги, картины, постеры, диафильмы

ФОРМЫ ОРГАНИЗАЦИИ:

- групповая работа,
- работа в парах,
- индивидуальная работа.

ОЦЕНИВАНИЕ:

- Развивающие,
- Определяющие.

САМООЦЕНКА:

РЕЗУЛЬТАТ:

ХОД УРОКА

1. Организационный момент.
 - Приветствие класса,
 - Рапорт дежурных.

2. Проверка домашнего задания:

Учительница проверяет домашнее задание.

Для актуализация опорных знаний учительница применяет метод «Мозговой штурм».

Вопрос: Ребята, каких животных вы знаете?

Ответ:

Вопрос: Какие животные живут с людьми, а какие в дикой природе?

Ответ:

Вопрос: Почему? Как их называют?

Ответ: и т.д.

Потом учительница проводит мини-лекцию о животных. Рассказывает о разновидностях животных, об их образе жизни, об их классификации:

Например: травоядные, земноводные, хищники, водные животные, домашние животные, дикие животные, наземные и уличные животные.

После этого учительница вместе с учениками охарактеризует несколько животных, потом делит класс на группы. Раздаёт группам картины различных животных. Ученики должны были охарактеризовать данных животных по вышеперечисленным категориям.

После этого группы делают презентацию. Одна группа проверяет работу другой группы. Ученики оцениваются по заранее подготовленным критериям оценок.

Просмотр диафильма о животных.

Чтобы углубить и расширить представления учащихся о животных, с которыми дети ознакомились, на уроке смотреть диафильм обязательно нужно было. Когда дети зрительно видят, смотрят на животных, это у них на долгое время остаётся в памяти. Это ускоряет темп изучения и запоминания материала.

После диафильма учительница провела игру между группами:

Условия игры были таковы:

Одна группа показала рисунок животных, а другая группа назвала и охарактеризовала их.

Одновременно ответили на вопросы: Чем питается это животное? Что ест это животное?

(При ответе надо было обратить внимание на падежи существительных.)

После каждой активности ученики оценивались по заранее подготовленным критериям оценок.

Потом учительница добавила ещё одну активность: ВИКТОРИНА.

Учительница задала ряд вопросов. Ученики ответили на некоторые вопросы. Узнали много нового о животных. Но услышав, что некоторые органы животных после смерти ненадолго живут, очень удивились и заинтересовались. Новая информация о животных всем понравилась.

Учительница подытожила урок индивидуальной работой: «Отношение каждого к животным».

Ученики делали презентацию, нарисовав различные рисунки и плакаты.

ПОДВЕДЕНИЕ ИТОГА УРОКА И РЕФЛЕКСИЯ.

1. Сегодня я узнал...
2. Мне было трудно...
3. Я выполнял задание...
4. Я понял, что...
5. Теперь я могу...
6. Я приобрёл...
7. Я научился...
8. Для меня было новым то, что...
9. Мне показалось важным...
10. Материал урока был для меня...

✓ Время, отведённое на реализацию разных этапов урока, было распределено рационально.

✓ Учебная деятельность велась в атмосфере активного взаимодействия.

✓ Ученики проявляли инициативу, помогали друг другу.

✓ Цели и задачи урока достигнуты.

✓ Результаты позитивны.

✓ В ходе проверки результатов групповой и индивидуальной работы удалось выявить, что тема усвоена хорошо.

ОЦЕНИВАНИЕ УЧЕНИКОВ: развивающее и определяющее

ДОМАШНЕЕ ЗАДАНИЕ.

КРИТЕРИУМ ОЦЕНОК В ГРУППОВОЙ РАБОТЕ

	10	9-8	7-6	5-1
Ознакомление всех членов группы с целью групповой работы	Группа хорошо ознакомилась с целью работы.	Группа ознакомилась с целью работы.	Группа частично ознакомилась с целью работы.	Группа хорошо не поняла цель работы.
Организовать работы по группам	Работа была хорошо организована и распределена между членами группы.	Работа неравномерно была организована между членами группы.	Работа частично была организована между членами группы.	Работа не распределена между членами группы.
Взаимоотношение и обмен мыслями членов группы	Оказали лучшие взаимодействия, хорошо обменялись мнениями.	Взаимодействие и обмен мнениями были удовлетворительными.	Частично обменялись мнениями.	Не оказали умения взаимодействия и обмен мнениями.
Время	Хорошо знали лимит времени.	Знали лимит времени.	Нуждаются в соблюдении лимита времени.	Не соблюдали лимит времени.
Сотрудничество	Все члены группы были активными и позитивными.	Члены группы были активными, между членами группы было позитивное взаимоотношение.	Только 1-2 ученика были активными, отсутствовало сотрудничество между членами группы.	Члены группы не были активными, отсутствовало сотрудничество.

Правильно отвечает на вопросы, интонация правильная. Произношение ясное. Правильно понимает прослушанный текст и правильно выполняет данные задания. Соблюдая ударения правильно читает. Имеет ошибки от 0 до 3-х.20	10-9
Иногда пропускает ошибки. Лексика-грамматика в среднем уровне. Когда слушает текст, не все понимает. Мало интересуется чужой культурой. Пропускает ошибки от 4-х до 6.	8-7
Неправильно отвечает на заданные вопросы. Произношение не ясное. Пропускает ошибки при письме. Неправильно понимает смысл прочитанного. Не интересуется чужой культурой. Имеет ошибки от 7 до 9.	6-5

მე სპეციალური მასწავლებელი ვიქნები

➔ მეორე ღია წერილი ზატონ მინისტრს

ზატონ მინისტრო, ეს გადწყვეტილება ჯერ კიდევ 2013 წელს მივიღე, მაშინ დედაქალაქის საჯარო სკოლაში ქართულს, ხოლო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ზოგადი ლინგვისტიკის მაგისტრი და დოქტორანტი, აკადემიურ წერას ვასწავლიდი, ქართული ენისა და ლიტერატურის საკმაოდ წარმატებული, სერტიფიცირებული მასწავლებელი გახლდი (სხვათა შორის, სრულიად მოუზადებლად ჩავაბარე ინგლისური ენის მასწავლებლობის სასერტიფიკაციო გამოცდა) და ვამაყობდი ჩემი მოსწავლეების, კადეტების თუ სტუდენტების მიღწევებითაც.

2012 წელს სამუშაოდ დედაქალაქის სკოლაში გადავინაცვლე. იქ, ერთ-ერთ კლასში, ბოლო მერსზე, ბნელ კუთხეში, ლამაზი ბიჭუნა იჯდა. არ მინდა ის ეპითეტები გავიხსენო, რომელსაც კოლეგები მის მიმართ იყენებდნენ. სიმართლე გითხრათ, არც გამკვირვებია და გარკვეულწილად, გამოცდილებაც მქონდა, ჯერ ერთი, რომ დედაც მუშაობდა სირთულეების მქონე ბავშვებთან და, მეორეც, ჩემი პედაგოგიური გამოცდილება, ქართულ-ამერიკულ სკოლაში, ეთიკისა და ტოლერანტობის, ასევე სამოქალაქო განათლების მასწავლებლობით დაიწყო და ინკლუზიის პრინციპების შესახებ, ჩემითაც და უცხოურ ვორკშოპებზე, ბევრად ადრე მივიღე ცოდნა, ვიდრე საქართველოს განათლების სამინისტრო შემოგვთავაზებდა რაიმეს. თუმცა, როგორც კი სამინისტრომ ილიას უნივერსიტეტში ინკლუზიური განათლების საზაფხულო სკოლები შემოგვთავაზა, ქართველი მასწავლებლებისთვის სიამოვნებით ვთარგმნიდი ნორვეგიელი თუ ბრიტანელი პროფესორების სლაიდებს და ასეც ვიდრმავებდი ინკლუზიურ განათლებაში ცოდნას, რომელიც აუტისტური სპექტრის იმ ლამაზ ბიჭუნასთან სამუშაოდ უნდა გამომეყენებინა, ცალკე მჯდომი, კლასის ყველაზე ბნელ კუთხეში რომ დამხვდა. პირველივე დღეს კლასს ხუთწუთიანი დავალება მივეცი, ბიჭს კი, თავის მერსზე, ჩემს ლეპტოპში უხმო ფილმი – „Signs“ ჩაეურთეთ და დავაკვირდი. აღმოჩნდა, რომ მან ინგლისური ფრაზები მშვენივრად გაიგო და მათ შესახებ რუსულად დამიწყო საუბარი. ასე, რუსულ-ინგლისურად, დავიწყეთ კომუნიკაცია და დავრწმუნდი, რომ საქმი ისე სულაც არ იყო, როგორც ამას ძვირფასი კოლეგები მინინასწარმეტყველებდნენ. მოკლედ, ავმუშავდით, ყოველ გაკვეთილზე მისთვის ადაპტირებული ტექსტები მიმქონდა, სავარჯიშოები, რომელშიც აქტიურად ერთვებოდა და მალევე სამწიგნობრო ტექსტების წერაზე გადავედი. საქმი ისე იყო, რომ როცა მე გაკვეთილს სხვა კლასში ვატარებდი, ბიჭი კლასიდან გამოდიოდა და სამსართულიანი სკოლის დერეფნებში დამეძებდა. თუ ღია კარში სადმე მომკრავდა თვალს, სხვების გაკვეთილზე შემოვიდოდა, ჩემი მაგიდის გვერდზე სკამს დგამდა, ჯდებოდა და ასე მისმენდა.

ერთი წლის შემდეგ სკოლამ სპეციალური მასწავლებლისთვის კონკურსი გამოაცხადა, რომელშიც სიამოვნებით ჩავები, თუმცა ამაოდ. სამინისტროს წარმომადგენელმა უპირატესობა სპეციალური მასწავლებლის მაგისტრს მიანიჭა იმ მოტივით, რომ მას ჩემზე მეტი კვალიფიკაცია შეიძლება ჰქონოდა. არადა, ასე სულაც არ იყო, მაღევი, დირექციამაც და კოლეგებმაც დაინახეს, როგორ ვუზიარებდი ახალგაზრდა გოგონას ცოდნას, ვადგენინებდი დოკუმენტაციას და ჩემს დროსა და ენერჯიას უმურველად ვუზიარებდი.

მოკლედ, იმ წელს, ვერ გავხდი სპეციალური მასწავლებელი, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ამ პროფესიის შეთავსების უფლებასაც იძლეოდა. სხვათა შორის, სამინისტრომ, გამოცდებისგან განსხვავებით, უსწრაფესად და იოლად მოახერხა ისეთი კანონმდებლობის შემუშავება, რომლითაც თავიანთი პროფესიითაც მომუშავე ბევრი სპეციალური მასწავლებელი არჩევანის წინაშე დააყენა – ან სპეცმასწავლებლობა აერჩიათ, ან საგნის სწავლება. შესაბამისად, უკვე ორივე დარგში საკმაო გამოცდილების მქონე ადამიანებმა მალევე დატოვეს ორიდან ერთ-ერთი. სკოლებშიც ბევრი ახალი, გამოუცდელი კადრი გაჩნდა, რომელთა ნაწილი დღესაც ელის 120-საათიანი ტრენინგის გავლას და საკუთარი კომპეტენციის ამაღლებას.

თუ დედაქალაქში ვერა, სპეციალურ მასწავლებლად მუშაობა, სამინისტროს ობიექტური წარმომადგენლის წყალობით, ქუთაისში, ჩემს მშობლიურ სკოლაში, მაინც შეეძლო

და უკვე მეექვსე წელია, ვკაფავ არასწორ ხედვებს, მცდარ დამოკიდებულებებს მოტივით, რომ „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი – მცირედ“! მე სპეციალური მასწავლებელი ვიქნები – ჩემ მსგავსად, ეს გადწყვეტილება არაერთმა კომპეტენტურმა/სერტიფიცირებულმა საგნის მასწავლებელმა მიიღო, დათმო, რა ვიცი, რანაირად მოპოვებული საგნის საათები და ნაშრომი სპეციალურ პედაგოგიკაში. დღეს კი, ისინიც ჩემსავით თვლიან, რომ „ეკუთვნით არადისკრიმინაციულ პირობებში მუშაობა და ისევე იმსახურებენ ამაღლებულ სტატუსს, სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების სიხარულსა და პროფესიულ სქემებში ჩართვას, როგორც ამას მათი კოლეგები, თუმცა „სხვა განზომილებაში“ მომუშავე საგნის მასწავლებლები ახერხებენ, იმის მიუხედავად, სასერტიფიკაციო გამოცდაზე ერთი კრედიტი მოიპოვეს, ოთხი, შვიდი თუ ათი და იმის მიუხედავადაც, ეს ამბავი ერთი წლის მანძილზე მოახერხეს, ოთხის, შვიდის თუ ათის“ (ამონარიდი მინისტრისადმი PUBLIKA.GE-ზე გამოქვეყნებული ჩვენივე წერილიდან). ჩვენ კი, მიუხედავად მათდამი განუვლი დიდი შრომისა, მათთვის შექმნილი ბევრი რესურსისა, დანერგილი სტატიისა თუ ინკლუზიის დარგში, სამინისტროს მხარდაჭერითვე, გამოცემული წიგნების ავტორებისა, მაინც 400-ლარიან ხელფასზე ვმუშაობთ. დიას, ასეა:

- სპეციალური მასწავლებლები ხელალებით ჩამოაშორეს თავიანთ სფეროებს, თუმცა არ აძლევენ საგნის მასწავლებლებთან გათანაბრების საშუალებას;
- სამინისტრო და განათლების საპარლამენტო კომიტეტი, ამდენი წელია, სხვადასხვა ფორმით გვიპირდება სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, თუმცა – ამაოდ;
- მიუხედავად ჩვენი მოთხოვნისა, სამინისტრო საგანმანათლებლო საქროების მქონე მასწავლებლებისთვის ვერ უზრუნველყო ადაპტირებული პროგრამები სპეცმას, რაც ართულებს სასწავლო პროცესში მათ სრულყოფილად ჩართვას და სპეცმასწავლებლებს ბევრ თავსატეხს უჩენს;
- სამინისტრომ ვერ შექმნა ბერკეტი, რითაც საგნის მასწავლებლებს ხელს შეუწყობს/მოსთხოვს საგანმანათლებლო საქროების მქონე მასწავლებლებთან საგნობრივად მუშაობას და ამით სპეციალური მასწავლებლებს ჩამოაშორებს „რეპუტაციორის“ აუნაზღაურებელ ფუნქციას;
- სამინისტრო ვერ აკონტროლებს, რაში იხარჯება სკოლებისთვის ინკლუზიის სახელით გადარიცხული ხარჯები, ეს კი ართულებს ბავშვებისთვის სწავლაზე ხელმისაწვდომობას და ინკლუზიური განათლება აქაც ფასადური რჩება. სამინისტრომ დღემდე ვერ უზრუნველყო, თუნდაც, მხოლოდ სასკოლო საზოგადოებაში ისეთი კამპანიის წამოწყება, რომელიც ამ დარგში მომუშავე ადამიანების ცნობიერებას ამაღლებდა. დღესაც ხომ ბევრი მასწავლებელი თუ დირექციის წარმომადგენელი გულში თუ ხმამაღლა კვლავ ოცნებობს სწავლების სეგრეგირებულ მოდელზე, არ მიაჩნიათ რა სპეციალური საგანმანათლებლო საქროების მქონე მასწავლებელს მათ საზოგადოებაში თანაბრების ღირსად;
- ბევრს არც სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი თუ ბავშვის ასისტენტი მიაჩნია თანამედროვე სკოლის განუყოფელ ნაწილად;
- სწორედ ამ მიზეზთა გამოა, რომ სასკოლო საზოგადოებას გადააქვს სამინისტროს დარგისადმი დამოკიდებულების არსებული მოდელი. შესაბამისად, ჩვენს სკოლებში არც თუ იშვიათია უფლებებელყოფა და დისკრიმინაცია, ჩავგრა/ბუღლინგი, რომელიც მთელი სიმძაფრით იმალება, არადა, დომინოს თეორია კვლავ ძალაშია და არაფის ინდოზს (<http://mastsavlebeli.ge/?p=24555>);
- სამინისტრომ ჯერაც ვერ უზრუნველყო, რომ ყველა სკოლაში იყოს გამოყოფილი ფართები კომფორტული რესურსოთახებისთვის;
- სამინისტრომ აქამდე ვერ უზრუნველყო, რომ მიზერული ანაზღაურების მქონე სპეციალურ მასწავლებლებს არ სჭირდებოდეთ ბრძოლა ინდგემების ჯგუფების შესაკრებად, საგნობრივი გეგმების სანარმოებლად. შეთავაზებების მიუხედავად (<http://mastsavlebeli.ge/?p=26951>), ვერ ხერხდება ისეთი ბაზის შექმნა, რომელშიც ყველაფერს პროგრამა გააკონტროლებდა და სპეცმასწავლებლებს აღარ დაგჭირდებოდა თუნდაც იმაზე ხვეწნა-მუდარა, რომ გვიჩანდეს სსსმ ბავშვის ყველა გაკვეთილი, რათა თავისუფლად დაგვეგმით ჩვენი;

- სამინისტრომ ერთხელაც ვერ უზრუნველყო სპეციალური პედაგოგიის დარგში კონფერენციის, ვორკშოფისა თუ სემინარების დაგეგმვა და ჩატარება;
 - სამინისტრომ ერთხელაც ვერ მოახერხა, მშობელთათვის ფორუმები ჩატარებინა და ბავშვებისთვის სწავლის ნახალების სისტემა შეექმნა, რათა მეტი მხარდაჭერა გამოეხატა ისედაც ურთულეს ემოციურ თუ სოციალურ პირობებში მყოფი მშობლებისთვის;
 - ეს იმ ფონზე ხდება, როცა ამ ყველაფერზე ფიქრი გვინევს სპეცმასწავლებლებს;
 - იმ ფონზე, როცა ჩვენს უცხოელ კოლეგებს, საგნის პედაგოგებთან შედარებით, ბევრად მაღალი ანაზღაურება აქვთ (სხვათა შორის, ამის შესახებ ჯერ კიდევ 2016 წელს ვწერდი, თუმცა ამაოდ);
 - იმ ფონზეც, როცა სპეციალურმა მასწავლებლებმა ყველაფერი გავაკეთეთ, რათა ჩვენი კოლეგები მომდევნო საფეხურზე წარმატებით გადასულიყვნენ. პირადად მე, არაერთი შეხვედრა-ტრენინგი ჩავატარე და ლამის საათებშიც კი მიხედებოდა სკოლაში ყოფნა, რათა თითოეულ მათგანს საბუთების მონწერიგებასა თუ კვლევის წერაში დაეხმარებოდა.
- და არა მხოლოდ მე. ჩვენს დარგში არაერთი პედაგოგია, რომელიც ფიქრობს, რომ სამინისტრო უსამართლოდ მოექცა. აი, ისინიც:


ირინა ზიროსმანაშვილი: „2003 წელს დავამთავრე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, სპეციალობით „კორექციული პედაგოგია“. მას შემდეგ, უწყვეტი სტაჟით ვიმუშავე მშპ პირების მასწავლებლად არასამთავრობო ორგანიზაციებში. 2014 წლიდან კი ვმუშაობ საჯარო სკოლაში სპეციალურ მასწავლებლად. წარმატებით მაქვს გავლილი მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული 120-საათიანი სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების შესავალი კურსი და სხვა მრავალი ტრენინგი. ამასთანავე, ვარ 2019 წლის საუკეთესო სპეციალური მასწავლებელი.“

დაულაღვი შრომით, სირთულეების გადალახვით და სიახლეების ძებნით ვზრუნავ თითოეული მოსწავლის სწავლა-განვითარებაზე. უდიდესი სურვილი მაქვს, სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემამ მომცეს განვითარების საშუალება. გულდასაწყვეტია, რომ ჩემი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არის გათანაბრებული სპეციალური განათლების მაგისტრთან. სასურველია, სპეციალური მასწავლებელი მოიაზრებოდეს მასწავლებლის ცნების ქვეშ და შეიქნეს ანალოგიური პრივილეგიები როგორც კარიერული წინსვლის შესაძლებლობით, ასევე ანაზღაურების მხრივ.“

ანა ბერიძე: „ჩვენ, სპეციალურ მასწავლებლებს, როგორც ინკლუზიური განათლების მხარდამჭერ პირებს, საგნობრივ მასწავლებლებთან შედარებით, წლებია გვინევს არა-თანაბარ პირობებში მუშაობა; ჩვენთვის, წლების განმავლობაში, არ არსებობდა კარიერული წინსვლის სქემა; დროულად არ ჩავგვრთო განათლების სამინისტრომ კარიერული წინსვლის სქემები, რის გამოც დავზარალებით როგორც მორალურად, ასევე ფინანსურად; საგნის მასწავლებლებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ კრედიტების საშუალებით აემაღლებინათ სტატუსი; დღემდე დიდი მოლოდინი ველოდით კარიერული წინსვლისთვის გამოცდის ჩატარებას, თუმცა ეს გამოცდები არ დაინშნა, რადგან ამის მიზეზად სახელდება „ქვეყანაში არსებული პანდემია“...“

და აქვე გკითხავთ, ზატონებო: ნუთუ პანდემია მაშინ არ ვრცელდება ჩვენზე, რადესაც, საგნის მასწავლებლებისგან განსხვავებით, კანონი მხოლოდ სპეცმასწავლებლებს გვაკლდეულებს სკოლაში სიარულს?!“ (ამონარიდი მის მიერ შედგენილი პეტიციიდან).

ნატალია ორპელაშვილი: „პროფესიით სურდო-პედაგოგი და ლოგოპედი ვარ, დამთავრებული მაქვს ასპირანტურაც, ძირითადი მოტივატორი ამ ბავშვების სიყვარული იყო. ყველას არ შეუძლია მათთან მუშაობა, მე კი, რადგან ეს საქმე კარგად გამომიდოდა და მიყვარდა ეს სფერო, არასდროს მიფიქრია პროფესიის შეცვლაზე. სკოლაში, სადაც ვმუშაობ, არსებობენ ბავშვები, რომლებ-



საქართველო

საც დიდი სირთულეები აქვთ – არ იციან კითხვა, ვერ ანგარიშობენ, ვერ ასახელებენ კვირის დღეებს, თუმცა მათთან ინდივიდუალური გეგმით მუშაობას არავინ მიიჩნევს საჭიროდ, რადგან ეს ზედმეტ თავის ტკივილად მიაჩნიათ. ზედმეტ თავის ტკივილად მიაჩნია 10-იდან 9 მასწავლებელს, ბოლოს ის მეთექვსმეტს ბავშვს და სსმ მასწავლებლებს ისევე მხოლოდ ჩვენს ანაბარა რჩებიან.

თუ მიზანი ინკლუზიური განათლების დანერგვა-განხორციელება-განვითარებაა, ნებისმიერი მიზნისკენ მიმავალი გზები და საშუალებებიც უპირობოდ ადეკვატური უნდა იყოს; თუ ამაზეც ვთანხმდებით, მაშინ სსმ მასწავლებელთა განვითარებაზე ზრუნვაც ისევე, როგორც ნებისმიერ სფეროში, პროფესიონალებს უნდა მივანდოთ, რათა შეგვეძლოს მათი არსებული რესურსის მაქსიმალური გამოყენება დარგის განვითარებისათვის! ჩვენს სფეროში კი ყველაფერი პირიქით ხდება! ანუ ის, რაც დღეს ხდება, პროფესიონალების და ამ დარგში შემოსული, უკვე გამოცდილებამიღებული და განვითარებული კადრის მიმართ, ეს მიზანმიმართული ხელის შეშლა და დისკრედიტაციაა“.

ქანა ნოდია: „ეჭვირვალეები იმდენი იყო... მე მსოფლიო ისტორიის მაგისტრი და სერტიფიცირებული მასწავლებელი ვარ. 2017-2018 წლებში გავიარე მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამა (ბო-კრედიტიანი), ასევე გავლილი მაქვს სპეციალური მასწავლებლის 120-საათიანი ტრენინგი, წარმატებით. ვარ პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე მასწავლებელი. პროგრამის ფარგლებში,

მე, მარნეულის მესამე საჯარო სკოლაში, ისტორიის მასწავლებლად ვიმუშავე. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გავდიოდი ათდღიან ტრენინგებს, იქ მოხდა ჩემი პირველი ნათლობა ინკლუზიური განათლების მიმართულებით. პროგრამის დასრულების შემდეგ, მყარად მქონდა გადამწყვეტილი, მემუშავა ამ მიმართულებით. იმავე წელს, გამჭვირვალე კონკურსის წყალობით, აფხაზეთის მეხუთე საჯარო სკოლაში სპეცპედაგოგად დავინიშნე მუშაობა. დამენიშნა ხელფასი 210 ლარი. მუშაობა იმ იმედით დავინიშნე, რომ წინ უამრავი წარმატება მელოდა და განვითარების საშუალება მექნებოდა. წარმოიდგინეთ, 210 ლარი, თან ნაქირავები ბინა, ფინანსური სიდუხჭირე. ამ წლების აღწერა სიტყვებით შეუძლებელია. თუმცა, ჯიუტად არ დავტოვე ჩემი ბავშვები და სამსახური. სკოლის მენეჯერი ერთ კუთხეში გადატყობილ დერეფანში შევუდექი მუშაობას. სკოლაშიც სიცივე, სახლშიც სიცივე. ამასობაში ჯანმრთელობაც შემეღობა. რეგიონულ ტურში მონაწილეობის მისაღებად, ნასესხები თანხით და გახეული ფეხსაცმლით ჩავედი თბილისში. შემთხვევით გავიკინფორმაცია პრეტესტის შესახებ და ბოლო წამს მივედი, ყოველგვარი რეგისტრაციის გავლის გარეშე და ვითხოვე ნებართვა. აქომინებულ-ანერეივლებულმა ავიღე 37 ქულა. არაერთხელ დავინიშნე, რომ გამოცდა აუცილებლად უნდა გაველო თითოეულ ჩვენგანს, კოვიდის ფონზეც კი, ონლაინ მაინც. მაგრამ ისევე უარი, თან დავვიანებულა!

და ახლა ვეკითხები სამინისტროს: რატომ? რა დავაშავეთ?! მერამდენედ გადადებული გამოცდა და მიზერული

ხელფასი, რომელიც პედაგოგს შიმშილის ზღვარზე ამყოფებს. ეს სირცხვილია, ვითხოვ ხელფასის მომატებას და უფროსი კატეგორიის მასწავლებლის სტატუსს.“

იაკო უნდილაშვილი: „უფროსი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, საკმარისად უნდა ჩაითვალოს 120-საათიანი სპეციალური მასწავლებლის ტრენინგი, ვინაიდან იყო ძალიან შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესი. ასევე, ტრენინგში შემავალი ყველა მოდულის ბოლოს, ვაბარებდით გამოცდას. ვითხოვთ, ამ ტრენინგთან ერთად, განხორციელდეს გარე დაკვირვების ფორმატით დასწრება და, შედეგად, მოგვემატოს სტატუსიც და, შესაბამისად, ხელფასიც.“

ბატონო მინისტრო, ჩვენს დარგში მთქმელი და სათქმელი კიდევ ბევრია, მთავარი კი ისაა, ქვეყნის შიგნით გულიანი მსმენელი გვეყავდეს და ქვეყნის სასიკეთოდ შეცვალოს დარგი.

ახალი კვირა დაიწყო და ჩვენც თქვენგან ძირეულ ცვლილებებს ველით. თუ არა, სულ ცოტა ხანში, ამ დარგში დარჩენას ან მოსვლას, არ ვიცი, ვინ მოისურვებს და ქვეყანაში არსებული ინკლუზიის ის ძვირადღირებული ფასადიც ჩამოიშლება, რომლითაც დღეს ასე ინონებს თავს სახელმწიფო, მის მიღმა მდგარი დასაფასებელი საზოგადოება კი, ჯერ კიდევ, ღია ცას შეპყურებს უკეთესობის დიდი იმედებით.

მარიამ ბოდუაძე

სპეციალური მასწავლებელი, მკვლევარი, ავტორი, ყრუ-უსინათლო პირთა თარგმან-მეგზური და ტრენინგ-ინსტრუქტორი

როგორ უპასუხოს მოსწავლე

შეფასება, პრობლემა არ არის, მთავარია, მოსწავლე დისტანციურ გაკვეთილზე შემოვიღოს



ლიანა გაშვილი
ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ხატისოფლის საჯარო სკოლის პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ მონაწილე, ბოლნისის №5 საჯარო სკოლის მენტორი პედაგოგი

დისტანციური სწავლების დროს, ელექტრონულ ჟურნალში, მოსწავლის შეფასების სამი კომპონენტი გვაქვს: დამოუკიდებელი სამუშაო, საკლასო სამუშაო და შემაჯამებელი სამუშაო. ასევე გვაქვს შეფასების ახალი სისტემა. დღევანდელი მდგომარეობით, განათლების სისტემაში შემოსულია პროგრამა „ახალი სკოლის მოდელი“, რომელიც განსხვავებულ მდგომარეობაშია. კერძოდ, ძალიან საინტერესოა კომპლექსური დავალებები იმ გაგებით, რომ როგორც მინი-პროექტს, ისე ამზადებს მოსწავლე შესასრულებელ სამუშაოს. წინასწარ იციან, რამდენიმე გაკვეთილი/ორი კვირით ადრე, თუ რა თემატიკაზე და როგორი ფორმით უნდა იყოს შესრულებული მათი დავალება. კომპლექსური ბარათები ერთგვარი გზამკვლევაა მოსწავლისთვის, სადაც დავალების შესრულებისთვის ყველა საჭირო ინფორმაცია არის მოცემული. ამჟამად ჩემს ერთ-ერთ კლასში შეტანილი მაქვს კომპლექსური დავალება თემაზე: „გარემოს დაბინძურება“, რომელიც შემაჯამებელ სამუშაოდაც უნდა დავუფიქსირო. ბარათში მოსწავლეს ვეუბნები: „წარმოიდგინეთ, რომ თქვენს რეგიონში ტარდება კონფერენცია გარემოს დაცვასთან დაკავშირებით და ამ კონფერენციაზე მომხსენებლად ხართ მიწვეული, წინაპირობა კი ასეთია – რეგიონის გარემოს დაბინძურების მდგომარეობაზე უნდა წარადგინოთ თქვენ მიერ დამზადებული ბუკლეტი, სადაც განიხილავთ ატმოსფეროს, წინადაცის თუ წყლის დაბინძურებას, მისგან გამომწვეულ დაავადებებსა და საჭირო პრევენციულ ღონისძიებებს“. ამ ბუკლეტში უნდა ასახოს ყველა გარემოება და თვალნათლივ წარმოაჩინოთ რეალური სურათი. მოსწავლეს ვანვდი ინფორმაციას რა არის გარემოს დაბინძურება, დავალებების პირობაში ჩაშენებულია სპეციალური ჰიპერლინკები, რომლებიც კონკრეტული ციფრული რესურსის გამოყენების გზასა და სტრატეგიებს აცნობს მათ, რა თქმა უნდა, გაკვეთილებსაც ვაძლევ, სადაც უნდა გავცნოთ ამ თემის ირგვლივ მრავალფეროვანი ინფორმაციას. ასე რომ, ჩემმა მოსწავლეებმა, ნამუშევრის წარდგენამდე, უკვე იცოდნენ, თუ როგორ უნდა მოემზადებინათ ენ. „საკონფერენციო“ ბუკლეტი. კლასის ნაწილმა წარმატებით გაართვა დავალებას თავი და შესანიშნავი პრეზენტაციებიც გააკეთა, ველოდები დანარჩენების ნამოთხებსაც.

კომპლექსური დავალების შესაფასებლად „ახალი სკოლის მოდელმა“ შეფასების ახალი სისტემა შემოგვთავაზა – **სოლო ტაქსონომიის პოპულარული მოდელი**, რომლის მიზანია მოსწავლეთა კოგნიტური განვითარების დონის განსაზღვრა სწავლის პროცესში. სოლო ტაქსონომიის გამოყენებით, შეგვიძლია უკეთ გავიგოთ, როგორც ესმის მოსწავლეს, რასაც სწავლობს და რა პრობლემები შეიძლება შეექმნას მას სწავლო პროცესში. აღნიშნული მოდელი წინა პლანზე აყენებს

მოსწავლის კოგნიტური აზროვნების პროცესებს, ვიდრე დეკლარაციულ ცოდნას. მისი გამოყენებით, მასწავლებელს შეუძლია, უკეთ გააანალიზოს მოსწავლის პასუხები და გაიგოს, რა სირთულის გადალახვის შედეგად მიაღწია მან შედეგს, როგორია მისი აზროვნების პროცესის პროგრესი და ა.შ.

აქვე განვმარტავ, რომ სოლო ტაქსონომიას ხუთი დონე აქვს: **პრესტრუქტურული დონე** – მოსწავლეს არ ესმის ინფორმაცია, ამიტომ ვერ ახერხებს გაგებას; **უნიტრუქტურული დონე** – შეუძლია მარტივი და ამკარა კავშირის დამყარება, მაგრამ ინფორმაციის ფართო მნიშვნელობა არ ესმის; **მულტიტრუქტურული დონე** – შეუძლია გააცნობიეროს საგნის ან დავალების რამდენიმე ასპექტი, მაგრამ თემის გარშემო იდეებსა და ცნებებს არ აქვთ ურთიერთკავშირი. მოსწავლეს შეუძლია მთელი რიგი კავშირების დამყარება, კლასიფიცირება, მაგრამ მთლიანობის მნიშვნელობა არ არის გასაგები; **მიმართებადი დონე** – შეუძლია გააცნობიეროს ნაწილების მნიშვნელობა მთლიანობაში მიმართებაში. იდეები და კონცეფციები უკავშირდება ერთმანეთს და ისინი ქმნიან მთლიანობის თანმიმდევრულ გაგებას; **გაფართოებული აბსტრაქტული** – ამ დონეზე მოსწავლეს შეუძლია შესწავლოს კავშირები არა მარტო მოცემულ საგნობრივ ქრილში, არამედ შეუძლია კავშირი დამყაროს მის მიღმა – განაზოგადოს და გადაიტანოს პრინციპები და კონცეფციები ახალ, განსხვავებულ კონტექსტში, შეუძლია პროგნოზირება, განზოგადება და სხვ.

თითოეულ დონისთვის, განმავითარებელი შეფასების პარალელურად, შეგვიძლია ნიშნების მინიჭებაც. მოსწავლეები შესრულებულ სამუშაოს, ანუ გამზადებულ პროდუქციას, ჩატო გვიტვირთავენ ვიდეორგოლებითა და ფოტოსურათებით, ხოლო ნამუშევრების პრეზენტაციებს სპეციალურად გამოყოფილ პერიოდში ახდენენ. მოსწავლეთა მოტივაციას ზრდის ის ფაქტორი, რომ წინასწარ იციან, როგორ უნდა შეასრულონ ხარისხიანად სამუშაო და დაიმსახურონ მაღალი შეფასება. ყველაფერი განერილი გვაქვს.

სამომავლად, თუნდაც რომ გაგრძელდეს დისტანციური სწავლება, არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს მოსწავლეთა შეფასება, ვინც შემოდის, გვესწრება და დავალებებს გვიტვირთავს, ყოველთვის იღებს პედაგოგის უკუკავშირს. ერთადერთი სირთულე, რაც დისტანციურ სწავლებასთანა დაკავშირებული, არის ის, რომ ყველა ბავშვი არ შემოდის გაკვეთილზე, რატომაც მშობლებიც ზედაპირულად უყურებენ ამას. სოფელ ხატისოფელში ბევრი ოჯახია, რომლებმაც ძალიან დიდი გაჭირვების ფასად უყიდა შვილს კომპიუტერი, შეუყვანა ინტერნეტიც, მაგრამ ბავშვი მაინც არ შემოდის დისტანციურ გაკვეთილზე. სამწუხაროდ, თვითონ მშობლები სიღრმისეულად არ ფლობენ ტექნოლოგიებს და ბავშვებიც ცუდლუტობენ.

სკოლებში ბევრი მოსწავლე არ არის, ვისაც ხელი არ მიუწევდა როგორც თანამედროვე ტექნოლოგიებზე, ისე ინტერნეტთან. მიმაჩნია, რომ, ამ შემთხვევაში, სოციალურად დაუცველებისთვის მუნიციპალიტეტებმა უნდა გამოიყონ დამატებითი დახმარება, როგორც ადრე გამოყოფდნენ თანხას ნიგნებზე, სხვა საჭიროებებზე. ამ კუთხითაც სწორედ მუნიციპალიტეტებმა უნდა იზრუნონ, მოსწავლეთა განათლების სუფილირების პროცესზე პასუხისმგებლობა უნდა აიღონ. მით უმეტეს ჩვენს რაიონში, ბოლნისში, სადაც ოქროს საბადოა და არის ისეთი შემოსავლები, რომლითაც შესაძლებელია ამ ყველაფრის უზრუნველყოფა. მართალია, გაზაფხულზე სკოლებში აღგვარდებიან უსახსრო ბავშვები, გაგვაგზავნიან მათი სია, მაგრამ შედეგად არაფერი მიგვიღია. ვფიქრობ, ამ მხრივ, აუცილებელია ყურადღების გამახვილება.

გაზაფხულისგან განსხვავებით, ამ შემოდგომაზე ჩვენ უკვე ელექტრონული ჟურნალები გვაქვს, სადაც დისტანცი-

ური სწავლებისას მოსწავლეთა დასწრების აღრიცხვა მიმდინარეობს. ბავშვებს, ვინც არ ერთვებიან დისტანციურ სწავლებაში, გაცდენების დაგროვების შემთხვევაში, საჯაროდ, ექსტერნი ექნებათ ჩასაბარებელი. ვფიქრობ, რომ ბავშვი ექსტერნამდე არ უნდა მივიდეს. ჩვენ, მასწავლებლებს, გვაქვს იმის საშუალება, რომ მოსწავლეს ინდივიდუალურად ჩავუნიშნოთ მეცადინეობა, ოღონდ კი ის კონტაქტზე გამოვიდეს. თუ მომავალში გვექნება პირისპირ შეხვედრები და პანდემიას დავამარცხებთ, ხომ კარგი, თუ არადა, რაღაც ბერკეტი უნდა გამოიძებნოს, ისევე მუნიციპალიტეტების დახმარებით და მშობლებიც რომ დაინახავენ, მათი შვილი სწავლას ძალზე ჩამორჩა, სიზარმაცის გამო და არა სათანადო პირობების არქონის გამო, ალბათ მეტ ყურადღებას გამოიჩენენ. მე, სოფლის სკოლაში, კლასის დამრიგებელიც ვარ. თუ დისტანციურ გაკვეთილზე, ვთქვათ, ექვსი მოსწავლე მერთვება, სამი, რომელსაც პერსონალური კომპიუტერიც აქვს, ლეტოპიცი, ინტერნეტიც და ტელეფონიც, მაინც არ შემოდის. არაერთხელ მივმართე მშობლებს თხოვნით, რომ ეზრუნათ შვილების ჩართულობაზე დისტანციურ სწავლებაში, მაგრამ უშედეგოდ... განათლების სამინისტრომ რაღაც ბერკეტი უნდა მოიფიქროს, რომ მშობელი შენუხდეს და აიძულოს შვილი, შემოვიდეს დისტანციურ გაკვეთილზე.

ასე რომ, შეფასებას რაც შეეხება, პრობლემა არ არის, მთავარია, ბავშვი შემოვიდეს ჩანიშნულ გაკვეთილზე. ახლა, დისტანციური სწავლებისას, გაცილებით მეტის შესაძლებლობა მეძლევა, ვიდეოებსაც ვაჩვენებ, ჩატო საჭირო ლინკებსაც ვანვდი, გაკვეთილებიც ინერება, რომ ბავშვმა განმეორებით ნახოს, დააბაუზოს, კიდევ რამდენიმეჯერ მოუსმინოს ინფორმაციას. ახლა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ნამდვილად სიღრმისეული ცოდნის მიღების უფრო მეტი შანსია, მთავარია, მოსწავლემ არ იცუდლუტოს და ონლაინ სწავლებაში ჩაერთოს.



რეპორტი

დაკეტილი სპორტსკოლა და გაზრდილი ინტერესი

ირაკლი თავაძე

დღევანდელმა პანდემიამ მთელ მსოფლიოს და ცხოვრების ყველა სფეროს შეუქმნა გადაულახავი პრობლემები – ყველგან ყველაფერი გაჩერდა და დაკეტილი... ერთ-ერთი ყველაზე მძიმედ დაზარალებული სპორტი აღმოჩნდა, როგორც კონტაქტური სფერო, სადაც უმეტეს სახეობებში დისტანციის დაცვა, უზრალოდ, შეუძლებელია. პირიქით – ეს სწორედ კონტაქტის, ერთმანეთთან უშუალო ზეგავლენის სფეროა. თანაც, გვირგილ სახეობა დარბაზში, ანუ ღია სივრცეში ფუნქციონირებს, ეს კი დამატებით პრობლემას.

ეპიდემიურმა ვითარებამ და მის დასაძლევად შემოღებული აკრძალვებმა განსაკუთრებით მძიმედ დაზარალებული ცენტრები ჩააგდო. დღეს ერთ-ერთ მათგანს – ააიპ თელავის სპორტულ კლუბთან გაერთიანებას წარმოვიდგინეთ, რომელიც აშშ-სა და დაკეტილია და მიმდინარე წელიწადის უმეტესი დროც ასე გაატარა. გვიანს ვიხილავთ სპორტსკოლის აკრძალვებს.

– რამდენად იმოქმედა პანდემიამ თქვენს სპორტულ კლუბთა გაერთიანებაზე, რა გამოწვევების წინაშე დაგაყენათ?

– ძალიან იმოქმედა, დაკეტილი ვართ. რეგულაციები მაქსიმალურად შეგვეზღო, რადგან ეს სპორტული კომპლექსია და მთელი საგარეო პროცესი შიგნით მიმდინარეობს, დარბაზში – კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, ბილიარდი, მხატვრული ტანვარჯიში, ტყვიის სროლა... შესაბამისად, კონტაქტიც მეტია.

პირველად, რეგულაციების გამოცხადებისთანავე, დავიკეტეთ – პირველი ტაღისთანავე, თებერვლის ბოლოს. ზაფხულის დასაწყისში ცოტა ხნით გავიხსენით, ფედერაციებისგანაც მივიღეთ წერილი რეგულაციების შესახებ – რა ტიპის ვარჯიშები უნდა ჩატარებულიყო, დარბაზში 10 კაცზე მეტი არ შეიძლებოდა, 2-მეტრიანი დისტანცია უნდა ყოფილიყო დაცული, უკონტაქტოდ უნდა ევარჯიშათ და ა.შ. ამ რეგულაციებს სრულად ვიცავდით, მაგრამ წინასწარჩვენოდ ისევ დავიხსურეთ.

– სპორტის რომელი სახეობები გაქვთ სპორტსკოლაში და რამდენი ბავშვი ვარჯიშობს?

– ჩვენს გაერთიანებაში სპორტის 9 სახეობა შემოდის – კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, ბილიარდი, მაგიდის ჩოგბურთი, მხატვრული ტანვარჯიში, ტყვიის სროლა, ჭადრაკი და რაგბი, რომელიც ერთადერთია, რაც ღია მოედანზე გვაქვს. ამათგან კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ბილიარდი, მხატვრული ტანვარჯიში და ფრენბურთი ფასიანია, სხვები – უფასო.

ამ 9 სახეობაში 800-მდე ბავშვი ირიცხება, ახლა ისინი სახლში სხედან. დაახლოებით, 40-მდე მწვრთნელი გვყავს, ყველა ლიცენზირებული, სპორტის ყველა სახეობაში.

– პანდემიის დროს ბავშვთა რაოდენობა ხომ არ შემცირდა?

– პირიქით, დაემატა, აბსოლუტურად ყველა სახეობაში. როცა გავიხსენით, იმაზე მეტი ბავშვი მოვიდა, ვიდრე გვყავდა.

– ეს იმის ნიშანია, რომ მონატრებული აქვთ სპორტი?

– იმის ნიშანია, რომ მშობლები მიხვდნენ სპორტის, ცხოვრების ჯანსაღი წესის მნიშვნელობას. მათ ხომ ბავშვები ამდენი ხანი ჰყავდათ სახლში და ენერჯიას ვერ ხარჯავდნენ.

– გამოსავალს თუ ხედავთ, რომ არც ადამიანთა ჯანმრთელობას მიაღწევს ზიანი და არც ვარჯიშის ამდენი მსურველი დაზარალდეს, გარკვეული ზომების დაცვით მათაც მიეცეთ ვარჯიშის საშუალება. თქვენი აზრით, არსებობს ასეთი „ოქროს შუალედი“?

– გამოსავალს, ამ ეტაპზე, ნამდვილად ვერ ვხედავ, რადგან



მთავრობა არბიტრის როლშია – ჩვენც უნდა გაითვალისწინოს და მეორე მხარისაც, რომ პანდემია არ გავრცელდეს. პირბადით რომ ვერ ივარჯიშებ და ეს პროცესი უკონტაქტოდ რომ ვერ გამოვა, ამაზე ყველა ვთანხმდებით. თან, ეს ვირუსი სწრაფად ვრცელდება. ამიტომ რეგულაციები, გავრცელების პრევენციისთვის, საჭიროა, თუმცა ბავშვებსაც ვარჯიში რომ უნდათ და ეს წელიწადი რომ თითქმის მთლიანად დაკარგეს, ესეც ფაქტია. მთელი მსოფლიო ამ დღეშია. ჯერ არ ვიცი, პროფესიული სპორტიც გააჩერეს თუ არა. თუ გააჩერეს, მართლა რთულად ყოფილა საქმე.

– სათანადო რეგულაციების დაცვით, გუნდურ სახეობებში თუ არა, ინდივიდუალურებში ხომ მაინც შეიძლება ვარჯიში? მაგალითად, სროლა, ბილიარდი, ტანვარჯიში არაა კონტაქტური სახეობები და პირბადის, სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით ხომ შეიძლება ვარჯიში, თუნდაც დახურულ სივრცეში?

– ალბათ, კი – შესაძლებელია. იმ ხანმოკლე პერიოდში, როცა გავიხსენით, ამ ყველაფრით ჩვენი სპორტსკოლაც აღჭურვილი იყო – დეზობარიერებიც გვქონდა, თერმომეტრებიც, სადეზინფექციო სითხეებიც, შიგნით პირბადეებით ვმძობოდით, დისტანციასაც იცავდნენ და ყველაფერს, რაც რეგულაციებით მოგვეთხოვებოდა. ალბათ, მსგავს სახეობებში, რომლებიც არაა დისტანციური, უფრო შეიძლება ვარჯიშის დამკვიდრება.

– ამ პირობებში კიდევ უფრო ცხადად გამოჩნდა, რამდენად საჭიროა და აუცილებელი თუნდაც თქვენი ტიპის სკოლებში ან ზოგადად ქვეყანაში სპეციალიზებული სპორტული ცენტრების შექმნა, სადაც ვარჯიში ჩაკეტილ პირობებში, გარე სამყაროსგან იზოლირებულად, შესაძლებელია როგორც სამოყვარულო, ასევე პროფესიულ დონეზე. ახლა ამას აკეთებს მსოფლიოში ყველა, ვისაც კი ოლიმპიური მზადების ცენტრი ან ამგვარი კომპლექსური სპორტული ბაზები აქვს.

– ამას დიდი ფინანსები სჭირდება, თუმცა ვეთანხმებით, რომ საჭიროა. ასეთი ბაზები რომ გვქონდეს, პროფესიული სპორტი არ გაჩერდებოდა. ჩვენწარმო სკოლებშიც შესაძლებელი იქნებოდა ასაკობრივი ნაკრებების წევრების ვარჯიში.

– თუმცა, თქვენს ტირში არა მხოლოდ ასაკობრივები, საქართველოს ეროვნული ნაკრებიც სისტემატურად გადის მზადებას. ის, ქვეყანაში არსებული სამი ანალოგიური ბაზიდან, ერთ-ერთია და თანაც – საერთაშორისო სტანდარტების, სადაც უცხოური რანგის შეჯიბრებების ჩატარებაც შესაძლებელია.

– ეს მართლაც მაღალ დონეზე აღჭურვილი ტირია და ნაკრები ხშირად ჩამოდის, ქალბატონი ნინო სალუქვაძის ხელმძღვანელობით. რაც ნაკრების წევრებმა აქ დაიწყეს მომზადება, ჩვენმა რამდენიმე მსროლელმაც უკვე წარმატებას მიაღწია.

– საბიუჯეტო დაფინანსებაზე კი ხართ, მაგრამ უშუალოდ ფინანსურ პრობლემებს ხომ არ გიქმნით, რაკი კომერციული ჯგუფები ვერ მუშაობს, ეს თქვენს შემოსავალზეც აისახებოდა.

– არა, ფინანსური პრობლემები არ გვაქვს, რადგან სუბსიდიას თელავის მერიისგან ვიღებთ. როცა დაკეტილები ვართ, კომუნალური ხარჯები არ გვაქვს, არც დარაჯი გვყავს – კამერებიც დამონტაჟებული, სამსახურში კი მხოლოდ მე და ჩემი მოადგილე დავდივართ.

– ღია მოედნები არ გაქვთ, რომ რეგულაციების დაცვით იმ სახეობებში მაინც ივარჯიშოთ, სადაც შესაძლებელია ღია არენებზე ვარჯიში?

– სამწუხაროდ, ღია მოედანი მხოლოდ რაგბიში გვაქვს, ფონდმა „ქართუმ“ ააშენა ბაზა თელავში. ზოგადად, ქალაქში ღია მოედნები არის – ე.წ. მინი-მოედნები, მაგრამ რამდენად მიზანშეწონილია, მაგალითად, ხელბურთელებმა ან კალათბურთელებმა იქ რომ ივარჯიშონ, საკითხავია... ალბათ, არაა მიზანშეწონილი, ჩვენ კი ასეთი ღია არენები არ გვაქვს, მხოლოდ დახურული დარბაზია – თამაზ ანთაძის სახელობის სპორტული კომპლექსი.

– სპორტული ინტერნატის პრინციპის საცხოვრებელი კომპლექსი თუ გაქვთ, ბავშვებმა ადგილზეც რომ შეძლონ დარჩენა?

– შეკრებებისთვის, ჯერჯერობით, ამ ეტაპზე, არ გვაქვს, მაგრამ სამომავლოდ ესეც იგეგმება. გვინდა, ოთახები გავარემონტოთ, დაახლოებით, 20 ბავშვამდე რომ დარჩეს ადგილზე.

– ამ პირობებში სამომავლო პერსპექტივაზე საუბარი ძნელია,



მაგრამ ახალი სახეობების დამატება თუ იგეგმება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაძლევთ ამის საშუალებას?

– ამ ეტაპზე ახალი სახეობების დამატება არ იგეგმება. გაისაღაც ისეც იმ სახეობებზე ვიქნებით ორიენტირებული, რომ, საქართველოს მასშტაბით, რაც შეიძლება უკეთესი შედეგები მოვიპოვოთ.

– მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საკმარისია ან რამდენად სტანდარტულია დარბაზები? რაიმე პრობლემა ხომ არ აქვს სკოლას?

– დიდი დარბაზი სტანდარტულია, ბილიარდშიც რამდენიმეჯერ ჩავატარეთ საქართველოს ჩემპიონატი, სხვა სახეობებშიც გვაქვს სტანდარტული დარბაზები. ინფრასტრუქტურას და ინვენტარს ჩვენი ხარჯებიდან ვაკმაყოფილებთ, უფრო მეტი წილი კი, უშუალოდ ბავშვებზე მიდის, რაც შეიძლება, მეტი კომფორტი რომ შევუქმნათ. მაგალითად, შარშან დიდ დარბაზში გათბობა არ იყო და გავაკეთეთ. პანდემიას თუ არ ჩავთვლით, ამ მხრივ, დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ეს ამბავი რომ არ ყოფილიყო, იმავე დიდ დარბაზში, იატაკის გამოცვლაც გვინდოდა. თუმცა, შეიძლება, ეს მაინც მოვახერხოთ – გააჩნია, ბიუჯეტი რამდენი გვექნება. სრულყოფილებას ვერა, მაგრამ ეტაპობრივად იმას მაინც მივალნევთ, რომ ყველა ბავშვის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ და სათანადო ინფრასტრუქტურა შევუქმნათ.

– ადგილობრივი სასკოლო და საგანმანათლებლო ტიპის სასწავლებლები, თუნდაც რესურსცენტრები, რამდენად თანამშრომლობენ თქვენთან?

– თელავის რესურსცენტრთან ვთანამშრომლობთ. ისინი ახარებენ სასკოლო ოლიმპიადებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში და ამ დროს ჩვენს სპორტულ კომპლექსს იყენებენ. ჩვენც ვეხმარებით, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში – კალათბურთში, ხელბურთში, ფრენბურთში – ბაზებით, ინვენტარით, მწვრთნელებით; ვეხმარებით მათ განვითარებაში, რათა უკეთ ორგანიზებული ღონისძიებები გამოუვიდეთ.





რამდენ ბავშვს და ახალგაზრდას აქვს სახლში ინტერნეტზე წვდომა

გაეროს ბავშვთა ფონდის და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის ახალი ერთობლივი ანგარიშის მიხედვით, საქართველოში, სასკოლო ასაკის ბავშვების 15 პროცენტს არ აქვს სახლში ინტერნეტზე წვდომა.

ანგარიშის – „რამდენ ბავშვს და ახალგაზრდას აქვს სახლში ინტერნეტზე წვდომა? – მიხედვით, მსოფლიოში, სასკოლო ასაკის ბავშვების ორ მესამედს არ აქვს სახლში ინტერნეტზე წვდომა. ეს მაჩვენებელი ანალოგიურია 15-დან 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებშიც – 759 მილიონ ახალგაზრდას, ანუ 63 პროცენტს, არ აქვს სახლში ინტერნეტკავშირი.

„ინტერნეტზე წვდომის არარსებობა ხელს უშლის ბავშვებს და ახალგაზრდებს, იყვნენ კონკურენტუნარიანები თანამედროვე ეკონომიკაში. ისინი იზოლირებული არიან დანარჩენი სამყაროსგან. ხოლო სკოლების დახურვის შემთხვევაში, რაც ახლა ხდება COVID-19-ის გამო, ინტერნეტის არქონა ბავშვებს განათლებაზე ხელმისაწვდომობას უზღუდავს“, – აცხადებს გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში ლასან ხალილი.

კორონავირუსის პანდემიის გამო სკოლების დახურვა, დაახლოებით, 661 500 ბავშვს შეეხო, მათ ვირტუალურ რეჟიმში სწავლაზე გადასვლა მოუწიათ. ის ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტზე წვდომა, შესაძლოა, განათლების ხელმისაწვდომობის გარეშე დარჩნენ. ჯერ კიდევ პანდემიამდე, მზარდი იყო იმ ახალგაზრდების რიცხვი, რომლებსაც ესაჭიროებოდათ საბაზისო, ციფრული, დასაქმების შესაბამისი და სამენარმეო უნარ-ჩვევების შესწავლა, 21-ე საუკუნის ეკონომიკის პირობებში კონკურენტუნარიანობის მისაღწევად.

მსოფლიო მონაცემებით, ყველაზე შეძლებულ ოჯახებში, სასკოლო ასაკის ბავშვების 58 პროცენტს აქვს სახლში ინტერნეტკავშირი, ეს მაჩვენებელი, ულარიბესი ოჯახების ბავშვების შემთხვევაში, მხოლოდ 16 პროცენტს შეადგენს. ანალოგიური უთანასწორობა გამოიკვეთა ქვეყნების შემოსავლიანობის მიხედვითაც. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში, სასკოლო ასაკის ბავშვებიდან, 20-დან 1-ზე ნაკლებ პროცენტს აქვს სახლში ინტერნეტზე წვდომა, მაღალშემოსავლიან ქვეყნებში კი – დაახლოებით, ყოველ მეცხრეს.

ყურადღაღებია ასევე გეოგრაფიული უთანასწორობა, ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით. მსოფლიოში, ურბანულ დასახლებებში, სასკოლო ასაკის ბავშვების, დაახლოებით, 60 პროცენტს არ აქვს სახლში ინტერნეტზე წვდომა, სოფლად კი ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, სამი მეოთხედია. განსაკუთრებით დაბალია სახლში ინტერნეტზე წვდომის მაჩვენებელი სუბსაჰარის აფრიკასა და სამხრეთ აზიაში, სასკოლო ასაკის ბავშვებში, სადაც 10 ბავშვიდან, დაახლოებით, 9-ს არ აქვს ინტერნეტკავშირი.

რეგიონი	3-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებსაც სახლში არ აქვთ ინტერნეტკავშირი
დასავლეთი და ცენტრალური აფრიკა	95% – 194 მილიონი
აღმოსავლეთი და სამხრეთი აფრიკა	88% – 191 მილიონი
სამხრეთი აზია	88% – 449 მილიონი
შუა აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი აფრიკა	75% – 89 მილიონი
ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები	49% – 74 მილიონი
აღმოსავლეთი ევროპა და ცენტრალური აზია	42% – 36 მილიონი
აღმოსავლეთი აზია და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები	32% – 183 მილიონი
მსოფლიო	67% – 1.3 მილიარდი



გასულ წელს, გაეროს ბავშვთა ფონდმა და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირმა დააფუძნეს Giga, გლობალური ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს ყველა სკოლის და მათი მიმდებარე დასახლებების დაკავშირებას ინტერნეტთან. მთავრობებთან თანამშრომლობით, Giga-მ რუკაზე დაიტანა 800 000-ზე მეტი სკოლა 30 ქვეყანაში. ამ მონაცემების გამოყენებით, Giga მუშაობს მთავრობებთან, დარგთან, სამოქალაქო სექტორთან, პარტნიორებთან კერძო სექტორიდან, ჰიბრიდული, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციისათვის დამაჯერებელი დასაბუთების მოსამზადებლად; აღნიშნული დაფინანსება მოხმარდება ინტერნეტ კავშირის ინფრასტრუქტურის შექმნას, რომელიც საჭიროა ციფრული სწავლების გადამწყვეტილებებისა და სხვა სერვისების დასაწვდომად.

ამჟამად Giga „Reimagine Education“ ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობს „Generation Unlimited“-თან კოორდინაციით. „Reimagine Education“ ინიციატივის მეშვეობით, გაეროს ბავშვთა ფონდი მიზნად ისახავს სათანადო ზომების გატარებას, განათლების თვალსაზრისით არსებული კრიზისის გადასაჭრელად და განათლების შესაძლებლობების გარდაქმნას, ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის ხარისხიან ციფრულ სწავლებაზე თანაბარი წვდომის უზრუნველსაყოფად. ამის მისაღწევად უმთავრეს საშუალებას საყოველთაო ინტერნეტკავშირი წარმოადგენს.

„Generation Connect“ სწორედ ამ ძალისხმევას და ახალგაზრდების ჩართულობის მნიშვნელობას ეფუძნება და წარმოადგენს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის ინიციატივას, რომლის საბოლოო მიზანია ახალგაზრდების გაძლიერება, ციფრულ სივრცეში ჩართვისა და მონაწილეობისათვის.

„გაეროს ბავშვთა ფონდის და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის ანგარიშში მოცემული ციფრები შემამოთხლებელია. თუმცა, ვითარება, სავარაუდოდ უფრო მძიმეა, სხვა დამატებითი ფაქტორების გამო, როგორცაა ფინანსური ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოება და ციფრული უნარ-ჩვევების ნაკლებობა. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის უახლესი მონაცემების თანახმად, ციფრული უნარ-ჩვევების ნაკლებობა რჩება ბარიერად ციფრულ საზოგადოებაში სათანადო მონაწილეობისათვის, ხოლო მობილური ტელეფონები და ინტერნეტზე წვდომა კვლავ ძალიან ძვირია მრავალი ადამიანისთვის განვითარებად ქვეყნებში, რაც მსყიდველობით უნარში უთანასწორობითაა გამოწვეული.

ბავშვებმა, სახლში ინტერნეტკავშირის არსებობის მიუხედავად, შესაძლოა, ვერ მოახერხონ მისი გამოყენება, სახლში სხვადასხვა საქმეების შესრულების ან მუშაობის გამო, ან არასაკმარისი რაოდენობის ელექტრონული ხელსაწყოების გამო; ინტერნეტზე წვდომის შესაძლებლობა გოგონებს უფრო ნაკლებად ეძლევათ, ან საერთოდ არ ეძლევათ, ან მათ არ იციან, როგორ გამოიყენონ ინტერნეტრესურსი. გარდა ამისა, არსებობს ონლაინ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემებიც, რაც განპირობებულია უსაფრთხოების საკითხებზე მშობლების არასათანადო ინფორმირებულობით.“ – აცხადებენ გაეროს ბავშვთა ფონდში.

ანგარიშის თანახმად, ციფრული უთანასწორობა კიდევ უფრო აღრმავებს ქვეყნებსა და თემებს შორის არსებულ უთანასწორობას. შესაბამისად, ყველაზე ხელმოკლე ოჯახებში, სოფლად და დაბალშემოსავლიან ქვეყნებში მცხოვრები ბავშვები და ახალგაზრდები კიდევ უფრო ჩამორჩებიან საკუთარ თანატოლებს და ამასთან ერთად, მცირდება ამ გამოწვევის გადაჭრის შესაძლებლობები.

საპილოტე პროექტში მონაწილე სკოლების ანგარიში

თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, გორის და ზუგდიდის საპილოტე სკოლების დირექტორებმა, მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების და მიღწეული შედეგების შესახებ, ანგარიში წარადგინეს.

ბულინგის პრევენციის და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების გრძელვადიანი პროგრამის განხორციელება მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრმა, 11 საპილოტე სკოლაში, 2019 წლის გაზაფხულზე დაიწყო. პროექტი მოიცავს ბულინგის, კიბერბულინგის, ტექნოდაშინაობის და მოსწავლეებში ნივთიერებათა ავადმომხმარების პრევენციის საკითხებს, ასევე, სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრაციის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას ყველა ბავშვისთვის, საკლასო გარემოს მართვის უნარ-ჩვევების გაძლიერებას და კრიზისული სიტუაციების მართვაზე ორიენტირებულ მუშაობას.

პროექტის ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა რგოლთან განხორციელდა ინტერვენცია: გადამზადდნენ საპილოტე სკოლების პედაგოგები, ადმინისტრაცია, მშობლები და მოსწავლეები.

საპილოტე პროექტის მიმდინარეობისას:

- სასკოლო კლიმატის გაჯანსაღების მიზნით, მომზადდა ძალადობის (მათ შორის, ბულინგის, კიბერბულინგის) და სარისკო ქცევების იდენტიფიკაციისა და მასზე რეაგირების მოდული. აღნიშნული მოდულით გადამზადდა ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის 12 თანამშრომელი, საპილოტე

სკოლების 571 თანამშრომელი. შეირჩა 112 პედაგოგი მშობლებთან და მოსწავლეებთან სამუშაოდ;

- მომზადდა ბულინგის პრევენციისა და მასზე რეაგირების ნე-სები და ფასეულობები. ამ მიმართულებით, გადამზადდა საპილოტე სკოლების 227 მასწავლებელი. მათ მიერ, ცენტრის თანამშრომელთა მხარდაჭერით, გადამზადდა 2710 მოსწავლე;
- შემუშავდა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის გეგმა. გაიმართა 102 საინფორმაციო შეხვედრა, რომელშიც 1630 მშობელი მონაწილეობდა;
- ამოქმედდა სასკოლო სოციალური მუშაობის კომპონენტი;
- „რთული ქცევის“ მოსწავლეებთან ეფექტიანი კომუნიკაციისთვის გამოიკვეთა მასწავლებელთა საჭიროებები. მომზადდა კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების ნე-სი და პროტოკოლი; შემუშავდა ჯგუფური ტრენინგის მართვის, ასევე, რთული ქცევების იდენტიფიკაციისა და მხარდაჭერის საჭიროებების განსაზღვრის მოდული;
- შემუშავდა სასკოლო მედიაციის კონცეფცია. დაიწყო პიროვნული განვითარების ხელშეწყობი პროექტის – „სხეული, გონება, ურთიერთობები“ – განხორციელება;
- ნივთიერებათა ავადმომხმარების პრევენციის მიზნით, მომზადდა ნარკობრევენციის პროგრამა 13 წელს ზემოთ ასაკისა და 13 წლამდე მოსწავლეებისთვის. აღნიშნული პროგრამით გადამზადდნენ საპილოტე სკოლების პედაგოგები და მანდატურები.

საპილოტე პროექტზე მუშაობისას, მანდატურის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს გაეროს ბავშვთა ფონდთან, ევროკავშირის პროექტთან „ევროკავშირის მოქმედება ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (EU ACT)“, ფონდთან „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“ და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან.

ონლაინ ტრენინგ-კურსი ფსიქოსოციალური მომსახურების სენტრის თანამშრომლებისთვის

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მონვევით, ბელგიის დონ ბოსკო გრონენველდის სკოლის დირექტორის მოადგილე, უფროსი ტრენერი ვიმ ჰანსენი ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლებისთვის ონლაინ ტრენინგ-კურსს უძღვევა. ტრენინგის მთავარი თემა სკოლაში აღდგენითი პროცესების პოლიტიკის წარმართვაა, რაც პრობლემურ ქცევებზე საპასუხო კონსტრუქციული მიდგომების შემუშავებას ითვალისწინებს. ტრენინგი გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება. კურსის დასრულების შემდეგ, ტრენინგის მონაწილეები, მანდატურის სამსახურის საპილოტე პროექტის – „ძალადობისგან თავისუფალი სკოლის მოდელი“ დანერგვაში ჩართულ ყველა თანამშრომელს გადამზადდენ.

საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური მუშაობის კომპონენტის გაძლიერების მიზნით, მანდატურის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპულ ექსპერტებთან. ვიმ ჰანსენი, ევროკავშირის დახმარების პროექტის – TAIEX მხარდაჭერით, საქართველოში 2020 წლის თებერვალში იმყოფებოდა. ბელგიელმა კონსულტანტმა ქართველ კოლეგებს სკოლებში სოციალური მუშაობის ფლანდრიული მოდელი გააცნო. მან პოზიტიურად შეაფასა მანდატურის სამსახურის მიერ საქართველოს სკოლებისთვის შემუშავებული სოციალური მუშაობის პროექტი და საპილოტე სკოლებში სოციალურ მუშაობა ინტერვენციის გაძლიერების მიმართულებით განეული სამუშაოს შედეგები.

„თეთრი სკორტის“ აღმავლობის დასაწყისი

ბაკურიანი ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს

27 ნოემბერს ონლაინ-რეჟიმში ჩატარებული ევროპის ოლიმპიური კომიტეტის (EOC) 49-ე გენერალურმა ასამბლეამ ბაკურიანი 2025 წლის ზამთრის მე-17 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლად დაასახელა! თანაც – ერთხმად: ბაკურიანის კანდიდატურას მხარი ყველა დელეგატმა დაუჭირა.

შეგახსენებთ, რომ საქართველომ, 2015 წელს, უკვე უმასპინძლა ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიურ ფესტივალს, ახლა კი მორიგ მასშტაბურ საერთაშორისო ღონისძიებას ჩაატარებს. საამისოდ სეოკ-მა პირველი ნაბიჯი ჯერ კიდევ 2019 წლის 30 ივლისს გადადგა, როცა აღმასკომის რიგგარეშე სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, ბაკურიანის კანდიდატურა 2025 წლის მე-17 ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლად წარედგინათ და ევროპის ოლიმპიურ კომიტეტს (EOC) განაცხადოც მალევე ახლა. ამას წელს, თებერვალში, EOC-ის შემფასებელი კომისიის ვიზიტი მოჰყვა, რომელმაც, სეოკ-ის მესვეურებთან ერთად, მოინახულა ბორჯომ-ბაკურიანი, რაკი მაშინ ფესტივალის მასპინძლად ორივეს კანდიდატურა განიხილებოდა, თუმცა შემდეგ ბორჯომში ჩაესხნა და მხოლოდ ბაკურიანი დარჩა.

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში აცხადებენ, რომ ამით იწყება ახალი და მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი საქართველოში ზამთრის სპორტის განვითარებისთვის. ამ ფესტივალის ორგანიზება მართლაც დიდ ბიძგს მისცემს ქვეყანაში „თეთრი სკორტის“ აღმავლობას, თუმცა მთავრობას ჯობეში ხელის ღრმად ჩაყოფაც მოუწევს, რადგან თითქმის თავიდანაა ასაშენებელი მთელი ინფრასტრუქტურა, რადგან ორივე ბაზა თუ გვაქვს და იმათაც თანამედროვე სტანდარტებში მოსაყვანად გვარიანი რეკონსტრუქცია სჭირდება, სხვები კი, პრაქტიკულად, არ არსებობს. ოღონდ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მანამდე – 2023 წელს ბაკურიანში სათბილამპირო სპორტში მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს და ბაზების ნაწილი იმ საჭიროებისთვის აშენდება, 2025-ში კი მათ ფესტივალზე გამოიყენებს.

ზამთრის ოლიმპიური ფესტივალის გამართვა 2025 წლის 8-14 თებერვალს იგეგმება – სინოპტიკოსთა ხანგრძლივი დაკვირვებების ანალიზით, ამ დროს იქ ყოველთვის თოვლის საკმარისი მარაგია. მის პროგრამაში ზამთრის სპორტის 8 სახეობა შეტანილია: სამთო თხილამურობა, ბიატლონი, თხილამურებით რბოლა, ფიგურული ციგურაობა, ტრამპლინიდან ხტომა, სნოუბორდი, შორტ-ტრეკი და ჰოკეი. ამათგან თითქმის ყველაში, ბაზების მხრივ, მეტად სავალო მდგომარეობაა – ჩვენი ინფორმაციით, სადღესოდ, მხოლოდ სათბილამპირო ტრასები მოგვეპოვება, თუმცა, ალბათ, გარკვეული მონესრიგება და ამ დონის ღონისძიებებთან შესაბამისობაში მოყვანა მათაც დასჭირდება. ნიშანდობლივია, რომ აღდგება ბაკურიანის ცნობილი ტრამპლინი – ერთ დროს კურორტის ერთ-ერთი მთავარი სავიზიტი ბარათი. სხვა თუ არაფერი, ამ ფესტივალის დივიდენდი ესეც იქნება – ბაზები დაგვრჩება, ხოლო მერე მათი სწორი ექსპლუატაცია უკვე ადგილობრივი ფედერაციების სწორ მენეჯმენტზე და, დიდწილად, სახელმწიფოს მარიფათზეცაა დამოკიდებული, რადგან ეს ყველაფერი ქვეყნის ზამთრის საკურორტო პოტენციალსაც გამოადგება.

ფესტივალისთვის ასევე უნდა აშენდეს ყინულის ორი დარბაზი – სადღესოდ გეგმით, ერთი – თბილისში, მეორე კი – ბაკურიანში. რაც შეეხება შორტ-ტრეკის, ბიატლონის და სნოუბორდის ბაზებს, ისინი 2023 წლისთვის უნდა მონესრიგდეს.

ასევე საყურადღებოა, რომ თამაშების პროგრამაშია ერთადერთი გუნდური სათამაშო სახეობა – ჰოკეი – მისი შეტანა ეოკ-ის პირდაპირი მოთხოვნა ყოფილა. ჰოკეი, საქართველოში, რამდენიმე წელია კი არსებობს და ბავშვთა ჯგუფებიც ჰყოლიათ, მაგრამ ახლა გაცილებით უფრო მაღალ დონეზე უნდა განავითარონ. საერთოდ, ამ ფესტივალის დადებითი მხარე, ახალი ბაზების მშენებლობასთან, ანუ ინფრასტრუქტურის მონესრიგებასთან ერთად, ისიცაა, რომ სპორტის ეს კონკრეტული

სახეობებიც უნდა განვითარდეს.

ზოგადადაც, ბაზებთან ერთად, სახეობების განვითარებაც თუ ვილაპარაკებთ, დღეისათვის, საქართველოში ამ სახეობებიდან მხოლოდ იგივე სამთო თხილამურობა, ფიგურული ციგურაობა და ტრამპლინი განვითარებული, დანარჩენები ან საერთოდ არ გვაქვს, ან მხოლოდ მცირედით. თუმცა, რაც გვაქვს, იმათგანაც მაღალ დონეზე საერთაშორისო პირობები არ გვაქვს და ნაკრების წევრებს, ძირითადად, უცხოეთში ვამზადებთ.

როგორც უკვე გითხარით, თავიდან ფესტივალის მასპინძლად ბორჯომ-ბაკურიანი განიხილებოდა, მაგრამ შემდეგ ბორჯომის კანდიდატურა გამოირიცხეს. ჩვენმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ეს ხარჯების ეკონომიის გამო გააკეთა – წინააღმდეგ შემთხვევაში, ბორჯომშიც უნდა აშენებულიყო რაღაც ბაზა, ეს კი დამატებითი ხარჯი იყო.

გვარიანი ფინანსური შეღავათი იმანაც გავიკეთა, რომ ოლიმპიური სოფელი არაა ასაშენებელი – ის ბაკურიანში, სასტუმრო „კრისტალში“ განთავსდება. იქაურობამ უკვე დამსახურა უცხოელ ექსპერტთა მონახება.

ფესტივალის მასპინძლად, ოფიციალურად, ბაკურიანი კი დარჩა, თუმცა ორგანიზებაში თბილისიც აქტიურად იქნება ჩართული – სწორედ დედაქალაქში იგეგმება ჰოკეის ტურნირის გამართვა, საამისოდ კი ერთი დარბაზი აშენდება. ვნახოთ, გადმოიტანენ თუ არა თბილისში ციგურაობის ტურნირსაც. გარდა ამისა, დედაქალაქში განთავსდებიან ფესტივალის მაღალი რანგის სტუმრები – „შუალინგსა“ და ამ რანგის სხვა სასტუმროები.

ფესტივალის ფარგლებში, საქართველოში, 2000-ს მხოლოდ სპორტსმენსა და დელეგატს ელოდებიან, რასაც საპატიო სტუმართა დელეგაცია თუ სხვა რანგის ჩამომსვლელები ემატებიან.

იეპიანის პოლოდინი

ფესტივალის მასპინძლობის სპორტულ-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, ჩასატარებელ სამუშაოებსა და სამომავლო გეგმვებზე ვაშაბაძის საპარტიო ურთველი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლეიჩი ხაბაძე.

– როგორ აფასებთ საქართველოსთვის, ქართული სპორტისთვის ამ ფაქტის მნიშვნელობას?

– პირველ რიგში, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალური ასამბლეის ყველა მონაწილეს, რომლებმაც ერთხმად დაგვიჭირეს მხარი. ესაა ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის, რომელიც 2025 წელს მე-17-დ უნდა ჩატარდეს. ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რადგან ზამთრის სახეობების განვითარება და ამ პროცესისთვის ბიძგის მიცემა გვინდა. ზამთრის სახეობებში, ფაქტობრივად, ყველა ღონისძიებაში ვმონაწილეობთ – ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის, ახალგაზრდული თუ დიდი ოლიმპიური თამაშები და იცით, წარმატებებიც გვაქვს. თუმცა, თითქმის ყველა ეს სპორტსმენი საზღვარგარეთ ემზადება, ჩვენ კი გვინდა, მათ ადგილზე შეუქმნათ ის ობიექტები, რათა აქ, საქართველოში, შეძლონ მომზადება. ესაა ის ორი ძირითადი მიმართულება, რაც ამ ღონისძიებას უკავშირდება – განვითარდეს ეს სახეობები და მასობრიობა შეიქმნას, ამიტომ, სწორი ნაბიჯი მგონია და მას ყველა მიესალმება. პანდემიის გამო ცოტა განსხვავებული რეალობაა, მაგრამ სპორტი ერთ ადგილზე ვერ გაჩერდება და ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, რომ ამ ღონისძიებას მაღალ დონეზე ჩაატარებთ.

– იმედი! თუმცა წინ ზღვა სამუშაო გველოდება... პირველ რიგში, რომელი ბაზებია ასაშენებელი?

– ფესტივალის ზამთრის სპორტის ცხრა სახეობაში ტარდება, თუმცა, ჩვენი თხოვნით, შევამცირეთ და ბაკურიანში რვა სახეობა იქნება, ამით ობიექტების რაოდენობაც შევამცირებთ.

წინა ანალოგიურ ფესტივალზე ყველაზე მეტი წარმატება ფიგურულ ციგურაობაში გვაქვს – 2 ბრინჯაო. გვინდა, რომ ბაკუ-

რიანში აშენდეს ყინულის ერთი დარბაზი, ასევე ტრამპლინიც გასახლებელია, რადგან უკვე არსებული მოძველებულია. კიდევ ერთი ყინულის სასახლე თბილისში აშენდება, სადაც ჰოკეის ტურნირის ჩატარებას ვგეგმავთ. ჰოკეი ერთადერთი გუნდური სახეობაა და მის შეტანაზე პირდაპირი მოთხოვნა იყო. ამიტომ მივიღეთ ეს გამოწვევა, თუმცა ფესტივალის შემდეგ ის სპორტის ყველა სახეობას მოემსახურება. ასევე სნოუბორდის ბაზაც გასაკეთებელია, თუმცა სათბილამპირო სპორტის ფედერაცია, 2023 წელს, ბაკურიანში, მსოფლიო ჩემპიონატს ატარებს და ეს არენაც მაგასთანაა მიბმული – „ბაკურიანი-2025“ იმ ბაზებსაც გამოიყენებს, რაც საქმეს გვიადვილებს. 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის უკვე მიდის მზადება – აშენდა სამი საბავირო. ბაკურიანის კანდიდატურის წარდგენისას ერთ-ერთი მთავარი კოზირიც ეს იყო – გამოგვეყენებინა აშენებული ბაზები.

ჯერჯერობით, დაგეგმილი ასეა, რომ თბილისში მხოლოდ ჰოკეის ტურნირი უნდა ჩატარდეს. არადა, ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა, მხოლოდ ერთი დარბაზი აგვეშენებინა თბილისში, სადაც ჰოკეი და ფიგურული ციგურაობა ჩატარდებოდა – ამით ხარჯებიც შევამცირებდით. თან თბილისში ერთი სრულფასოვანი ობიექტი გვექნებოდა, სადაც დიდი შეჯობებების ჩატარება იქნებოდა შესაძლებელი. თანაც, ფიგურულ ციგურაობაზე დღეს გარკვეული აჟიოტაჟია ატეხილი, რადგან ის, სპორტის გარდა, ჯანმრთელობისთვისაც საჭიროა. თან ხალხის რაოდენობაც ბევრად მეტია და აქ უფრო პერსპექტიული იქნებოდა, თუმცა, ამ ეტაპზე, ფიგურული ციგურაობა ბაკურიანშია დაგეგმილი, ოღონდ იქ შედარებით მცირე დარბაზზეა საუბარი.

თავდაპირველი გეგმით, კიდევ ერთი დარბაზი უნდა აშენებულიყო, მაგრამ ის ობიექტი ამოვადდეთ. იცით, რომ თავიდან ბორჯომ-ბაკურიანზე იყო საუბარი, თუმცა რადგან ეს ორი დასახლება ერთმანეთთან ახლოსაა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ბორჯომი მასპინძლობიდან ამოგვედო, რითაც ხარჯი შევამცირეთ. საბედნიეროდ, ამაზე ეოკ-ში დაგვთანხმდნენ. ასევე ჩვენი მუშაობის შედეგია ღონისძიებაში თბილისის ჩართვა – იცით, რომ გარკვეული დამორების შემდეგ, სხვა ქალაქს თამაშებში ჩართვის ნებას არ აძლევენ, ახლოს უნდა იყოს ფესტივალის მასპინძლთან, მაგრამ ჩვენი შუამდგომლობით, თბილისის შემთხვევაში, გამოაკლისი დაუშვეს.

– რა დაგვიდგება ამ ინფრასტრუქტურის მონესრიგება?

– პირველადი მონაცემებით, 80 მილიონი ევრო დაგვიდგება, მაგრამ ეს რიცხვი დაიკლებს – საუბარია, დაახლოებით, 10-15 პროცენტის დაკლებაზე.

ჩვენთვის შეღავათია ის, რომ ოლიმპიური სოფლის აშენება არ დაგვიჭირდება – ბაკურიანში, სასტუმრო „კრისტალში“ განთავსდება. იქაურობა უკვე დაათვალიერა ეოკ-ის შემფა-

სებელმა კომისიამ და ნანახით კმაყოფილი დარჩნენ. თქვეს, რომ ეს პრობლემა, ფაქტობრივად, მოხსნილია. ეს ყველაფერი იმის დამსახურებაა, რომ იქაურობა ვითარდება და სამთო კურორტების განვითარებისთვის, ბოლო წლებში, ბევრი გავკეთდა. ჩვენც ამ რიტმს ავყევით, რომ ამ საქმეში ჩვენი წვლილი შეგვეტანა და სამთო კურორტები უფრო საინტერესო გაგვეხადა.

– ფინანსების მოძიებაზე უფრო რთული ამ სახეობების აღორძინება და სათანადო დონეზე აყვანა... ბევრგან ხომ ყველაფერი ნულიდანაა დასაწყისი...

– ევროპის ოლიმპიურ კომიტეტში განაცხადის წარდგენამდე, ამ ფედერაციების წარმომადგენლებთან წინასწარი შეხვედრები გვექონდა და მათი მიდგომაც იგივეა. კიდევ ვიმეორებთ – ფული მაინც გვეხარჯება სპორტსმენების უცხოეთში მომზადებაში და აქ რომ გვექონდეს შესაბამისი ბაზები, ადგილზე მოემზადებოდნენ.

ამ სახეობებიდან ყველაზე უკეთესი მდგომარეობა ფიგურულ ციგურაობაში გვაქვს – ჩვენი სპორტსმენები ყველა ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ, ფესტივალზე 2 ბრინჯაო მოვიპოვეთ, ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე კი – გუნდური ოქრო და ბრინჯაო. აქედან გამომდინარე, მოთხოვნადი სპორტია და მის მიმართ ინტერესი მზარდია.

ასევე მუშაობს ჰოკეის ფედერაცია, რომელსაც გუნდურ ჰოკეის შეიძლება, იმ დონეზე არაა, მაგრამ თუ არ ვიბრძოლეთ და ნაბიჯები არ გადავდგით, ისე არაფერი გამოვა. ტრამპლინზეც გვაქვს მოზარდები, ასევე სამთო თხილამურობაშიც, მუშაობს ბიატლონის ფედერაციაც და სხვ.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ინტერესი არის. თან ქვეყანაში ბევრი კურორტი მონესრიგდა ზამთრის სახეობებისთვის და განვითარდა ტურიზმი. გვინდა, ამ ტურიზმზე სპორტიც იყოს მიმართული, რაც ფედერაციებისთვისაც კარგი მაგალითი იქნება, რომ ქმედითი ნაბიჯები გადადგან თავიანთი სახეობების ასაღორძინებლად.

– კადრებიც სერიოზული პრობლემაა. უცხოეთიდან მათ მონვენებს ხომ არ გეგმავთ?

– რა თქმა უნდა, გვაკლია კვალიფიციური სპეციალისტები და გვინდა მოვიზილოთ ისინი. გვსურს, მზადდებიან ამ პროგრამის ფარგლებში, მოვამზადოთ მწვრთნელები და სპორტსმენებიც მოვიზილოთ. თუმცა, არა მხოლოდ მოვინვეთ, ჩვენს მწვრთნელებსაც გავაზრავთ უცხოეთში სტაჟირებაზე. თანაც, ზამთრის ამდენ კურორტს ინსტრუქტორები და სპეციალისტები ხომ სჭირდება? ეს მათთვისაც რეზერვია – იქ დასაქმებული ხალხი კვალიფიციური კადრი იქნება. ამიტომ გვინდა მწვრთნელების მომზადება, რომ მერე ისინი გამოადგინენ სპორტსაც და ტურიზმსაც.

აი, ასეთი მიდგომები გვაქვს და მგონია, რომ სწორი გზით მივდივართ, ყოველ შემთხვევაში, იმედინად ვარ.

ირაკლი თავაძე

